ჰელიტრე მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 აგვისტო ხუთშაბათი 2012 №205 (13811) ფასი 80 თეთრი

ანამ სორანაც დაიფრინა

10

გორის დილას ისტორიული შანსი

მარიტიმუს მერე ევროპალიგის ჯგუფური ეტაპია

ოთარი ყულუმბეგაშვილის ფოტო

რატომ ვაგებთ მეოთხე პერიოდში?

კოკოშკოვი ალაპარაკდა

ოთარი ყულუმბეგაშვილის ფოტო

11-12

ჩვენი ანალიზი და საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პრესკონფერენცია

სუპერ თასი რეალს

მოურინიომ ვილანოვას პირველი დუელი მოუოგო

9

ხავი მარტინესი მიუნხენში გაიქცა!

40 მილიონი გადახდილია, ბავარიელები ესპანელს ოფიციალურად დღეს წარადგენენ

8

დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრაა

I კალათა	II კალათა	III კალათა	IV კალათა
ჩელსი	ვალენსია	ოლიმპიაკოსი	სელტიკი
ბარსელონა	ბენფიკა	აიაქსი	ბორუსია (დ)
მანჩესტერ იუნაიტედი	შახტარი	ანდერლეხტი	ბატე
ბაიერნი	ზენიტი	იუვენტუსი	დინამო (ზ)
რეალი	შალკე	სპარტაკი	კლუჟი
არსენალი	მანჩესტერ სიტი	ჰსჰ	მალაგა
პორტუ	ბრაგა	ლილი	მონპელიე
მილანი	დინამო (კ)	გალათასარაი	ნორდსიელანდი

ევროპალიგა. ვლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ქართული ფეხბურთის შანსი

30.08. თბილისი. მ. მესხეს 20:00

დილა-მარიტიმუ

პირველი მატჩი 0:1. LIVE | არხზე

მწრის "დილას" დღეს ქართული ფეხბურთის შელახული სახელის რეაბილიტაციის შანსი ეძლევა. პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" გასალაზე ნაგებული (0:1) შეხვედრის შემდეგ, საქართველოს თასის მფლობელი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას შეეცდება.

გუშინ გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა "მიხეილ მესხზე" პრესკონფერენცია ჩაატარეს.

მაია ვანაძე

სიფრთხილე გვჭირდება

თემურ შალამბერიძე, გორის "დილას" მთავარი მწვრთნელი:

- გუნდში ნორმალური მდგომარეობაა, ყველას საბრძოლო განწყობა გვაქვს. დაგვიკლდება დისკვალიფიცირებული შაშიაშვილი და ტრავმირებულები - არზიანი, გვალია, მოდებაძე და ალადაშვილი. სამწუხაროდ, "ვიტ ჯორჯიასთან" საზარდული ასტკივდა მოდებაძეს, ალადაშვილმა კი კუნთი გაიწყვიტა. ზუსტად ამ მაგრის გადადება გვინდოდა, მაგრამ... დავგიბრუნდა თომაშვილი, რომელიც სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, ჯერ მზად არ არის. ამის მიუხედავად, განაცხადში მაინც გვეყოლება. ხოლო ვის ვათამაშებთ შაშიაშვილის ნაცვლად, ხვალ ნახავთ.

- პორტუგალიაში დაცვითი ტაქტიკა არჩიეთ. ახლა ალბათ, ტაქტიკის შეცვლა მოგიწევთ.

- ევროპაში გახსნილი ფეხბურთის ჩვენებას უფლებას არავინ მოგვცემს. გამომდინარე აქედან, სიფრთხილე გვმართებს, პირდაპირ შეტევაში არ უნდა გავვარდეთ, რადგანაც ერთ შეცდომასაც არავინ გვაპატიებს. მაგრამ პირველმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ დაუმარცხებელი მეტოქე არ გვყავს.

- "მარტიმუს" ძლიერ მხარედ რას მიიჩნევთ?

- შეკრული გუნდია, გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ საოცრებაც არ არის. კიდევ იმ აზრზე ვარ, რომ "ანორთოსისს" უფრო ძლიერი ფლანგის ფეხბურთელები ჰყავდა.

პრესკონფერენციის "დილას" ნახევარმცველი გოგიტა გოგუაც ესწრებოდა:

- "მარტიმუდან" რამდენიმე ტექნიკური მოთამაშე მომეწონა, სუსტი გუნდი არ არის, მაგრამ დაუმარცხებელსაც არ ჰგავს. მოსაგებად ყველაფერი უნდა გავიღოთ, მაგრამ თავქუდმოგლეკვილი შეტევაში გავარდნაც გაუმართლებელი იქნება.

- "დილამ" ბევრი ყვითელი ბარათი მიიღო. თქვენ სულაც "ანორთოსისთან" გაგაძევეს და ისე გამოვიდა, რომ გუნდი დააღალატეთ. ამის თავიდან ასაცილებლად ფეხბურთელები არ უნდა დაფიქრდეთ?

- კი, უნდა დავფიქრდეთ (იცინის). გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები შევიკრიბეთ და ამას გავითვალისწინებთ, მაგრამ ბრძოლაც აუცილებელია.

მხოლოდ ის ვთქვი, რომ რუსული გავლენა გძონდათ

შემდეგ მედიას "მარიტიმუს" მთავარი მწვრთნელი **პედრუ მარტინეში** შეხვდა:

- 18 მოთამაშით ჩამოვედით. ყვითელი ბარათის გამო შეხვედრას ჟოაო ლუიში გამოტოვებს. ეს არის გადამწყვეტი, ფინალის ტოლფასი შეხვედრა, რომლისთვისაც ერთი წელი ვემზადებოდით. დიახ, ჩვენი გეგმის განხორციელებას ერთი წელი ვცდილობდით.

- თქვენ ქართველები რუსებში აგერიათ.

- არა, მასე არ ყოფილა. მხოლოდ ის ვთქვი, რომ თქვენი საფეხბურთო სკოლა რუსული სტილის მსგავსია, რადგან თქვენზე გავლენა დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ.

- "დილაზე" რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- 70 წუთის განმავლობაში უპირატესობას ვფლობდით, პურთიც გავიტანეთ, შემდეგ კი "დილამ" ძალიან კარგი თამაში აჩვენა. ძლიერი გუნდია და სერიოზულადაც ვემზადებით.

- თამაშს რა ტაქტიკით აპირებთ?

- დაცვით ფეხბურთს ნამდვილად არ ავირჩევთ. ვიმეორებ, ამ მატჩისთვის ერთი წელი ვემზადებით, ევროპის ლიგაში მოხვედრის მშვენიერი შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ.

რაფაელ მირანდა,

"მარიტიმუს" ნახევარმცველი:

- პირველ შეხვედრაში დამრჩა შთაბეჭდილება, რომ "დილას" 0:0-იც ანყობდა და თავიდან გვაკვირდებოდა, რისი უნარი შეგვწევდა. მათდა სამწუხაროდ, გავიტანეთ, გავიმარჯვეთ და ახლა ევროპის ლიგაში მოხვედრის ოდნავ მეტი შანსი გვაქვს.

- ჯგუფურ ეტაპზე "დილას" გასვლა სიურპრიზი იქნება?

- არა მგონია, რადგან ფეხბურთში სიურპრიზი ხშირად ხდება.

- "დილადან" ვის უფრთხით?

- ჩვენ გუნდურ თამაშს ვანიჭებთ უპირატესობას, თუმცა 12 ნომერი (გოგიტა გოგუა) მომეწონა.

"მიხეილ მესხზე" შეხვედრა დღეს, 30 აგვისტოს 20 საათზე დაინწყება. პილეთის ფასი 5 ლარია.

მერაბ მამულაშვილი

თამაზ ყულუმბეგაშვილის ფოტოები

თემურ შალამბერიძე

პორტუგალიელთა ვარჯიში

U 17

წარმატებული სტარტი

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი) პოლონეთის ქალაქ პლოცკის საერთაშორისო ტურნირზე ("სირენკა ქაპ") უკვე ორი მატჩი გამართა.

ტურნირი ჩვენებისთვის წარმატებით დაიწყო: საქართველომ პირველ შეხვედრაში ტურნირის მასპინძელი პოლონეთი გამოთამაშა - დევდარიანის ბიჭებმა დაძაბულ ბრძოლაში 3:2 გაიმარჯვეს.

პოლონეთი—საქართველო 2:3 (1:2)

0:1 ტაბიძე (12), 0:2 ზარანდია (25), 1:2 ზავადა (40), 2:2 შენგელია (67), 2:3 გოროზია (70)

საქართველო: გოშაძე - გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია - მალანია (კაპ), თევზაძე - ზარანდია, ბერიძე (55. მესხი), ხორხელი (60. გოროზია) - კერძევაძე

მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

გამოუყენებელი კანდიდატი: მალანია (52)

გაფრთხილება: ხორხელი, ზარანდია, სტრიგუცი, შულაია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მოუხდავად მასპინძლის სტატუსისა, პოლონელები მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ - ანგარიშითაც და რაც მთავარია, თამაშითაც. ჩვენს კარში გატანილი გოლები კი, დაცვის მცირედი მოდუნებისა და კონცენტრაციის დაკარგვის შედეგი იყო.

ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქე ტექნიკურად აშკარად დაჩაგრეს. თავის ფლანგზე შეუწრებელი იყო **ლუკა ზარანდია**, რომელსაც პოლონელთა მწვრთნელი მთელი თამაშის განმავლობაში მეურვეებს უცვლიდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. საიმედოდ გამოიყურებოდნენ საყრდენის პოზიციებზე მოთამაშე **გიორგი თევზაძე** და **ზურაბ მალანია**. ბევრი კომუნიკაციის ქართველთა გამოკვეთილმა ფორვარდმა **ილია კერძევაძემ**.

პირველი გოლი თევზაძის საჯარიმო დარტყმას მოპყვა, ბურთი ძელმა აისხლიტა, დამატებაზე ყველას **ჯემალ ტაბიძემ** დაასწრო და ანგარიში გახსნა – 0:1.

ამის შემდეგ, ზარანდიამ გაიღალა. რამდენიმე სოლორეიდის შემდეგ ქართველი ნახევარმცველი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და მასპინძეთა მეკარეს შანსი არ დუტოვა – 0:2.

ამის შემდეგ იყო ეპიზოდი, როდესაც ქართველები მსაჯის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა: ზარანდიას ერთ-ერთი რეიდი მასპინძლებმა უხეშად შეაჩერეს და წესით, პენალტი უნდა დაენიშნა, თუმცა, მსაჯმა ამჯარა დარღვევაზე თვალი დახუჭა. ემოციების ვერმოთოკვისა და მსაჯთან შელაპარაკების გამო კი ზარანდიას ყვითელი ბარათი აუფრიალა.

პოლონელებმა ანგარიშის სხვაობა პირველ ტაიმშივე შეამცირეს. თავური დარტყმით გოლი **ზავადამ** გაიტანა - 1:2.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნა. ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ კერძევაძეს, შეცდალზე შემოსულ **ცოტნე მესხსა** და **თენგო გოროზიას**; 52-ე წუთზე კი მალანიამ თერმოტეტრიანი ვერ გამოიყენა.

ამან ჩვენი გუნდი არია, რითაც პოლონელებმა ისარგებლეს და რამდენიმე წუთში ანგარიში გაათანაბრეს – 2:2.

თუმცა, ორი საგოლე მომენტის გამოუყენებლობას შემდეგ, გოროზიამ თავის გამორჩენა მაინც მოახერხა. მესხის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, ქართველი ნახევარმცველის დარტყმამ გამარჯვება მოგვიტანა - 3:2.

საქართველოს ნაკრები შემდეგ ეტაპზე გავიდა და ტურნირზე გამარჯვებისთვის ბრძოლას აგრძელებს, სადაც გუშინ ნორვეგიას შეხვდა. სკანდინავიელებმა ჯგუფის მეორე მატჩში ეკატერინეს პენალტების სერიაში სძლიეს (9:8).

ასე რომ, დევდარიანის გუნდი, სწორედ, ნორვეგიელებთან ატარებდა შეხვედრას, რომლის მოგებულიც ტურნირის ფინალში გადიოდა.

მატჩი დროებინის სტადიონზე გუშინ საღამოს გაიმართა. ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, პენალტების სერია კი პატარა "ჯგუარისებმა" უკეთ შეასრულეს, გოლები გაიტანეს მესხმა, მალანიამ, ზარანდიამ და თევზაძემ, მეკარე გოშაძემ ერთი პენალტი მოიგერია, საქართველომ 4:3 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა. 31 აგვისტოს ჩვენს გუნდს დანია დაუპირისპირდება, რომელმაც უკრაინას 4:0 სძლია.

მერაბ მამულაშვილი

ჩვენ და ჰორტუგალიელები

ბალანსი უნდა შევცვალოთ!

sport.ge
ბიგლიტერატა

ურთიერთობებზე ბრძანდება
საკლუბო დონეზე

უეფას თასი. 1/16 ფინალი

დინამო (თბ) – ბოავიშტა (პორტ) 1:0

15.10.1996. თბილისი. ეროვნული.
65000 მაყურებელი

1:0 გოგიჩაიშვილი (25, პენალტით)

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლომბარძინე, ზ. ჯულაძე, მაჭავარიანი (43. კერძეკაძე), ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (73. ინანდიშვილი), ჯამბარული, კობიაშვილი, იაშვილი (80. დემბერაძე)

მწვრთნელები: ზ. ჯულაძე, კობიაშვილი, კალაძე

არბიტრი: ფ. სანდრა (მალტა)

ბოავიშტა – დინამო 5:0

29. 10. 1996. პორტუ. „ბესა".
20000 მაყურებელი

1:0 ლატაჰი (2), 2:0, 3:0 ჯასეიმენ (29, 55), 4:0 ლატაჰი (69), 5:0 ტავარეში (90)

დინამო: ზოიძე, ლომბარძინე, დიდვავა, ზ. ჯულაძე, ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (65. კუდინოვი), ჯამბარული, ინანდიშვილი (46. კერძეკაძე), კობიაშვილი, დემბერაძე (46. იაშვილი).

მწვრთნელები: დიდვავა, ზ. ჯულაძე

ბანკეტის: ზ. ჯულაძე

არბიტრი: ფ. ფილანი (ლუქსემბურგი)

უეფას თასი. 1/16 ფინალი

ბრაგა – დინამო 4:0

21. 10. 1997. ბრაგა. „კარიშო დე მაიო".
15000 მაყურებელი

1:0 ფრედრიკო (23), 2:0 გონი (55), 3:0 კაროლანი (66), 4:0 ბრუნო (77).

დინამო: ზოიძე (46. გელა ქანქარია), კალაძე, ლომბარძინე, დიდვავა, ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, გურული, ცქიტიშვილი, ალექსიძე (70. გოგობერიძეული), დ. მუჯირი (60. ხიმრარი).

არბიტრი: უ. არნი (რუმინეთი)

დინამო – ბრაგა 0:1

04. 11. 1997. თბილისი. ეროვნული.
15000 მაყურებელი

0:1 გონი (49)

დინამო: გელა ქანქარია, კალაძე, ზ. ჯულაძე, დიდვავა, ჩხაიძე, ცქიტიშვილი (87. გ. კვარაცხელია), კიკნაძე (75. ლომბარძინე), გურული, ალექსიძე, დ. მუჯირი ხიმრარი (63. გოგობერიძეული)

მწვრთნელები: გურული, ალექსიძე

არბიტრი: ა. სნოდი (წრ. ირლანდია)

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი

დინამო – პორტიმონენსი (ლისაბონი) 0:4

25. 11. 2004. თბილისი. „ლოკომოტივი".
8000 მაყურებელი

0:1, 0:2, 0:3 ლიედხონი (7, 30, 60), 0:4 ჭოჭუაშვილი (90, საკუთარ კარში).

დინამო: ზოიძე, შამპიონი, სილვაძე, საღლუხვაძე (75. დვალი), კვირკველია, კანდელაკი, ჭოჭუაშვილი, ანანკვა (88. ე. მახარაძე), რობერო კაკაძე (75. ჭოჭუაშვილი), შეულაძე

მწვრთნელები: კვირკველია, ქუცურაშვილი

არბიტრი: ე. ჩიჩარდსი (უელსი)

ევროპის ლიგა. პლეი ოფი

მარსელია – დინამო 1:0

4200 მაყურებელი

23. 08. 2012. ფრანკონვილი. „ველოდრომი".

1:0 დიდიეხონი (64).

დინამო: სესკური, შამპიონი, გ. ონანი, სილვეშვილი, კვირკველია, გოცუა, მექვაბია, ალმანდოზი (56. კახელიშვილი), ვეალა, შ. გრიგალაშვილი (70. ახალკაცი), ს. ციტაიშე (62. ალუჩიძე)

მწვრთნელები: შამპიონი, გოცუა, ახალკაცი.

არბიტრი: ლ. კოვარაკი (ჩეხეთი).

დილა – მარიტიმუ დღეს

1996 წელი. დინამო-ბოავიშტა. გონა ჯამპარული პორტუგალიელთა ნინააღმდეგ

...რვა წლის წინათ, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში თბილისის „დინამომ" საუკეთესო შედეგი არგუნა ევროტურნირებზე: უეფას ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია! სამწუხაროდ, იმის მერე მსგავს წარმატებას ვერც ერთმა ქართულმა გუნდმა ვერ მიაღწია და აი, ამის შანსი დღეს გვაძლევს: პორტუგალიური „მარიტიმუს" ბარიერის დაძლევის შემთხვევაში გორის „დილა" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებს!

წარმატების მოლოდინი

გორის „დილას" დღევანდელი მეტოქე ევროპული „საზომით" კი არა, თავის კვეყანაშიც ვერ ჩაითვლება გრანდად. ანუ ახალი რა უნდა ვთქვათ: „მარიტიმუს" მართლაც ბევრი უყლია „სპორტინგის", „ბენფიკასა" თუ „პორტოს" მიღწევებამდე. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, „მარიტიმუ" მაინც სერიოზულ მეტოქედ უნდა მივიჩნიოთ — ბოლოს და ბოლოს, გუნდი ხომ არცთუ დაბალი დონის პორტუგალიის ჩემპიონატში ასპარეზობს და წინა სეზონში მხოლოდ იქაურ გრანდებს („პორტუ", „ბენფიკა", „ბრაგა", „სპორტინგი") ჩამორჩა. მეგობელ ძლიერია, მაგრამ, ისიც ვთქვათ, რომ უეფას ლიგის პლეი ოფის პირველ მატჩში „მარიტიმუ" სულაც არ დატოვა დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილება. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ევროტურნირებში შემორჩენილ ერთადერთ ქართულ გუნდს (შემდგენლობა რომ ნამდვილად არ დაეწუნება) წარმატება ვუსურვოთ და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვიხილოთ. ამასთან, ევროტურნირების ისტორიაში ქართულ-პორტუგალიური დაპირისპირებები აქამდე არსებული აშკარად უარყოფითი ბალანსი იქნებ ოდნავ მაინც შევცვალოთ...

იმედიანი გაცნობა

ევროტურნირებზე დღევანდლამდე ქართულ და პორტუგალიურ გუნდებს ერთმანეთში 8 მატჩი აქვთ ჩატარებული და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საამაყოდ სამმა ნამდვილად ან რვაქმეს: 1 შეხვედრა მოვიგეთ და 5 ნაგადეთ (არანაკლებ ჯამბასტროფულია ბურთების სხვაობაც: 1-15)! ერთადერთი, რითაც შეიძლება თავი „დავიმშვიდოთ", ის არის, რომ მეტოქეებად პორტუგალიის ძლიერი გუნდები გვყვდა: „სპორტინგი", „ბრაგა", „ბოავიშტა". მართალია, დღესდღეობით „ბოავიშტას" ცუდი დღეები უდგას (ფინანსური პრობლემების გამო გუნდი ჯერ ll დივიზიონში დაქვეითდა, მერე სულაც პროფესიული კლუბის სტატუსი ჩამოერთვა, ამჟამად კი III ლიგაში ასპარეზობს), მაგრამ როცა თბილისის „დინამოს" უპატივცემულოს თავისი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად მიიჩნევდა.

სწორედ „ბოავიშტას" იყო პირველი პორტუგალიური გუნდი, ევროთასებზე რომ დავუპირისპირდით. არადა, პირველად სწორედ ის სეზონი (1996-97) იყო, ევროტურნირებზე ქართულმა გუნდმა ყველაზე მეტი ეტაპი რომ გაიარა: თბილისის „დინამომ" ჯერ ლუქსემბურგის „გრევენმახერს" აჯობა, შემდეგ ნორვეგიულ „მოლდეს", მერე მოსკოვის „ტორპედოც" გამოვაგდეთ და „ბოავიშტას" ძლევაც, რატომღაც, ყველას იოლი საქმე ეგონა. თუმცა, პირველივე მატჩშა, თბილისში მართლაც სოლიდური აუდიტორიის წინაშე რომ ჩატარდა (60 000-ზე მეტი მაყურებელი მოვიდა) დავგვანახვა მეტოქის სიძლიერე. **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ" ის შეხვედრა მინიმალური ანგარიშით (1:0) მოიგო, თუმცა მეორე ტაიმში ჩვენს მეკარეს, **ირაკლი ზოიძეს** რამდენიმეჯერ რომ არ ეყოფნალა, ანგარიში აშკარად ჩვენთვის არასასურველი იქნებოდა. არადა, მეტოქე პირველ ტაიმში აშკარად დავუკბინეთ, რაც, უპირველეს ყოვლისა, „დინამოს" ლიდერების — **კახა გოგიჩაიშვილის, გონა ჯამპარულისა** და **ნუგზარ ლობჟანიძის** დამსახურება იყო. სამწუხაროდ, მატჩის დასაწყისში ტრავმა მიიღო **მამუკა მაჭავარიანმა** და დავით ყიფიანაც გარკვეული კორექტივების შეტანა მოუხდა თავის გუნდის შემადგენლობაში. **რასულ ლატაჰი, ტავარეში, ჯიმი-ფლოიდ ჰასელბანკი, ნუნუ გომეში,** — „ბოავიშტას" შემადგენლობაში არაერთი გამორჩეული ფეხბურთელი ასპარეზობდა, მაშინ, როცა „დინამოს" ძირითად ბირთვს 18-20 წლის ბიჭები შეადგენდნენ: **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი კიკნაძე, გიორგი დემბერაძე...**

ჯოშმარი ბესაზე

საპასუხო მატჩი ორი კვირის მერე პორტუში, „ბესას" სტადიონზე ჩატარდა და სრული ფიასკოც გველოდა: „ბოავიშტამ" ჩვენი გუნდის კარში 5 უპასუხო ბურთი გაიტანა! ამ სასტიკ მარცხს გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზი ჰქონდა: ტრავმირებულ მაჭავარიანს დისკვალიფიცირებული კალაძეც დაემატა, მატჩი ჩვენი დროით... ღამის სამის ნახევარზე დაინყო, „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელს თამაში არ წაუვიდა დასაშვებად. თუმცა, მთავარი მიზეზი მაინც ჩვენი ფეხბურთელების ევროასპარეზზე გამოუცდელობა იყო და სწორედ ამას უნდა მიეპისროთ ის უამრავი შეცდომა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ 5 გამვებული გოლის მიუხედავად, ჩვენს მეკარეს, ირაკლი ზოიძეს, ვერ ვნებდა დაადანაშაულებდა, ხოლო ნუგზარ ლობჟანიძეს, ალბათ, კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა! ამ ნაგების კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ „ბოავიშტას" გამოცდილმა მწვრთნელმა, ცნობილმა იუგოსლავიელმა სპეციალისტმა **ზორან ფილიპოვიჩმა** ჭკვიანურად არჩეული ტაქტიკით თავის გუნდს მატჩის დასაწყისიდანვე უპირატესობა მოაპოვებინა და, რაც მთავარია, პერსონალური მეურვეები მოუჩინა იმდროინდელი „დინამოს" უპირობო ლიდერებს გონა ჯამპარაულსა და კახა გოგიჩაიშვილს...

„ბოავიშტას" მერე იყო არანაკლებ მტკივნეული მარცხი „ბრაგასთან", შემდეგ კარგა ხნის პაუზა გვქონდა, ვიდრე პორტუგალიურ გუნდს კვლავაც გადაეყრებოდით; თუმცა, 2004 წლის გვიან შემოდგომაზე ასევე სრული ფიასკო გველოდა: უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩში, ლისაბონის „სპორტინგმა" ბრაზილიელი **ლიედსონის** პეტ-თრიქით თბილისში მწარე მარცხი გვაგემა. ახლა კი „მარიტიმუს" ჩვენი მეტოქე და ვინ იცის, იქნებ დღეს მაინც დავძლიოთ პორტუგალიური ბარიერი!..

გია ტუხაშვილი

ალავერდაშვილის გოლი საუკეთესოა

ლიტაში საფეხბურთო არხი "ფუტბოლო.ტვ" ყოველი ტურის შემდეგ ბატარების მაყურებელთა გამოკითხვას, რომლითაც "ალიგის" საუკეთესო გოლის ავტორს ავლენს.

25-ე ტურის შეხვედრაში "ბანგამ" "ტაურასთან" 4:0 გაიმარჯვა, "ბანგას" ქართველმა ლეგიონერმა **გიორგი ალავერდაშვილმა** კი დუბლი მოასრულა. განსაკუთრებით ლამაზი გამოვიდა შეხვედრის 67-ე წუთზე "ტაურასის" კარში გატანილი მესამე გოლი: გიორგიმ ბურთი საფარიმოს სიახლოვეს მიიღო და დაახლოებით 22-23 მეტრიდან მეკარეს თავზე გადაუგდო.

"ფუტბოლო.ტვ"-ის გამოკითხვაში პირველ ადგილზე ნებრიდ ეს გოლი დასახელეს, ქართველ თავდამსხმელს მაყურებელთა 83.1% დაუჭირა მხარი, მეორე ადგილზე **არსენ ბუნიჩკის** ("ტარანასი") გოლია – 10,2, მესამეზე კი **რაფაელ ლედესმის** გატანილი ("სუდუვა") - 6.7%.

"ბოლო ოთხი წელია ლიგაში ვთამაშობ, მერე სად არ ვითამაშე, რამდენი გუნდი შევიცავალე, მაგრამ ვერსად ვიყავი ისე, მე რომ სურდა. მგონია, რომ "ბანგაში" გადასვლა სწორი გადაწყვეტილება იყო. ფორმაში შევდივარ და ბანგრძლივ ჩავარდნას წერტილი დავსვა. აშკარად ვგრძნობ, რომ ფუმბატებ, თავდაუჯერებული ვხდები და საგოლე პლოლის ვიმრუნებ, რაც ასე მჭირდებოდა. გარდა ამისა, რომ "ტაურასთან" გატანილი პირთა საუკეთესოდ აღიარეს, მატჩის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც გადმომცეს" – გვითხრა ალვერდაშვილმა.

24 წლის ქართველი თავდამსხმელი "ბანგაში" ზაფხულში ჩაირიცხა, 21 იელისს კი სადებიუტო შეხვედრაში ფუძლით გამოიჩინა თავი. მაშინ გუნდი ლიტვის ჩემპიონატის აუტსაიდერი იყო, ახლა კი 31 ქულით 10-გუნდიან ტურნირში მე-6 ადგილზეა და უახლოეს მდევარ "დაინავას" 6 ქულით უსწრებს.

შეგახსენებთ, რომ "ბანგაში" კიდევ ორი ქართველი თამაშობს: ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** და თავდამსხმელი **გიორგი ნიქაბაძე**.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

ნიკა ჭანტურაია

სერიოზული განაცხადი

29.08. მცხეთა. მცხეთის პარკი. 70 მაყურებელი

ვიპ ჯორჯია	ლოკომოტივი
0	1

0:1 გუგუშვილი (59)

ვიპ ჯორჯია 4-2-3-1	ლოკომოტივი 4-4-2
დავითაია	ბ. მიქავა
ხარებავა	მაისაძე
გეთიაშვილი	ნ. ჯაბანარი
გოგიაშვილი	მაისურაძე
ონანიაშვილი	თ. პატეიშვილი
ბასარია	დ. მიქავა
ჯასაძე	გოგოხია
ყორიღაძე	ცინცაძე
ღონარაძე	გუდუშაური
ჯუღელი	დარიციანი
ჩიქაიძე	ლ. ჯიქია
მწვრთნელი	მწვრთნელი
გ. ჯოჯუაშვილი	გ. სანაძე

ვიპ ჯორჯია

46. ჯუღელი – ზაქარაძე
52. ღონარაძე – ჯუხაღეშვილი
78. ჩიქაიძე – ლეგვანიძე

სამსახურებიდან: სვანაძე, ტატუნაშვილი, ჯაჯანიშვილი, დავლაშვილი

ლოკომოტივი

75. დ. მიქავა – მეიშვილიანი
82. დ. ჯიქია – ქიკნაძე
88. დარიციანი – ბაძრაძე

სამსახურებიდან: ბაქრაძე, ჯაშიაშვილი, ბაურჩიშვილი, ბაღრიონი, ზაქარაძე, ქუციანაძე, სულთანიშვილი, გურგენიძე, შუხუაშვილი

გაფრთხილება: ზაქარაძე (70), გაბაძე (79), ბაქრაძე (89)

არბიტრი: დ. სანაძე

ნიკა ჭანტურაია შეი პირველ ნახევარში საქართველოს იმ 17-წლამდელთა ნაკრების წევრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწია. გუშინ "ლოკომოტივის" განაცხადში ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე ნათამაშეი ხუთი ფეხბურთელი იყო. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ მათაც და სხვა ახალგაზრდა თანაგუნდელებსაც ღრეობი ნიჭებით ღმერთი არ დაუწყია. **გელა სანაძის** ხელმძღვანელობით მათ უფრო გამოცდილ მეტოქეს ტული არ დაუფლებ და მეტ-ნაკლებად თანაბარ თამაშში გამარჯვების მიზანსწრაფულობის ხარჯზე მიაღწიეს.

მატჩი ნამდვილად არ ყოფილა სანაზაობრივი, თუმცა ორივე გუნდი მოეწინააღმდეგეს მონაკვეთისთვის დიდი შემართებით იბრძოდა. პირველი ტაიმი "ვიტ ჯორჯიას" უპირატესობით წარმართა, შეხვედრის მეორე ნახევარში კი სტუმრებმა აშკარად მოუმატეს.

შესვენებამდე მეტოქეებმა თითო საშიშროთი მოიწინა გაცვალეს – **გიორგი კორიფაძის** მიერ დარტყმული ბურთი კარიდან **ნიკა ჭანტურაიამ** გამოიტანა, **დავით დარციანელის** თავური კი არა-ზუსტად გამოდგა.

ჭანტურაიაზე აუცილებლად ცალკეც უნდა ვთქვათ – ახალგაზრდა მცველი, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ლონდონის "არსენალში" გაცილი სინჯებებიდან, დაცვის ცენტრში ასაკისთვის უწეველო აზროვნებით თამაშობს და გუნდის ნამდვილი ლიდერია.

გამარჯვების ვოლი მატჩის ერთადერთი ეფექტური ეპიზოდი გამოდგა. **მათე ცინცაძემ** შესანიშნავი პასით მეტოქის დაცვა უყმად დატოვა და მეკარესთან პირისპირ **ამირან გუგუშვილი** გაიყვანა, რომელსაც ბურთის დამუშავების დროც ჰქონდა და კარში ზუსტად დარტყმისაც – 0:1.

შეხვედრის დასრულებამდე საკმაო დრო იყო, მაგრამ "ვიტ ჯორჯიამ" მონინააღმდეგეს განსაკუთრებული ხიფათი ვერ შეუქმნა. მხოლოდ შეცდომაზე მესონე **ლევან ჯუხაღეიშვილის** სუსტი დარტყმის გახსენება შეიძლება, რომელსაც "ლოკომოტივის" მეკარე იოლად გაუმკლავდა.

ბუნებრივია, წყვილის გამარჯვებული ლი მხოლოდ საპასუხო მატჩში გაირკვევა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გუშინდელი გამარჯვებით მერედფინალის სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ლევან ჯანჯღავა
მცხეთა-თბილისი

29.08. ლანჩხუთი. 33 მაყურებელი. 300 მაყურებელი

გურია	სპორი
2	0

1:0 ტ. კუკულაძე (6. ვარანავას პასით), 2:0 ტ. კუკულაძე (72. ვარანავას პასით)

გურია 4-4-1-1	სპორი 4-1-4-1
ძაძამია	ხარებილავა
მარიამი	ღარიბაშვილი
ლალაძე	ფუტკაძე
მამალაშვილი	ბოლაძე
რ. ჯუღელაძე	მიქანაძე
რაქვიაშვილი	სპორთელი
გოგიჩაიშვილი	ქვილი
პარციხაძე	ფუტურისტი
ა. ჭინჭალაძე	გაგნიძე
ჯეირანიშვილაძე	ჯიქიაური
ტ. ჯუღელაძე	ცოტაძე
მწვრთნელი თ. ლორია	მწვრთნელი ნ. ბოცვაძე

გურია

56. შენგელია – ნაცვლიშვილი
67. გოგიბერიძე – წერეთელი
83. ვარანავა – მენთიაშვილი

სპორი

71. კვირკვია – ჩიტია
83. სარჯანია – არახამია
83. ცოფურია – ჯაფარიძე

გაფრთხილება: მამალაძე (44), კვირკვია (70), ნერეთელი (74), მიქანაძე (78), შენგელია (90)

არბიტრი: ი. ჩირკაშვილი (ქუთაისი)

ვართა, შაბა გოლრეზი!

ლანჩხუთის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის გამო „გურია" საშინაო შეხვედრებს სათადარიგო მოედანზე მართავს. დილიდან მოსული უხვი ნალექის მიუხედავად გურულთა სარეზერვო არენა მზადყოფნაში დაუხვდა სათასო პაექრობას — 25 წლის წინათ დაგებულმა საფარმა და მისმა სადრენაჟე სისტემამ წყლის გაწოვა იოლად მოახერხა.

მატჩი მასპინძლების შეტევებით დაიწყო და უკვე მე-6 წუთზე იხეირეს ლანჩხუთელებმა: „გურიის" ახალწვეულმა, **ლევან ვართაგავამ** საჯარიმო დარტყმა საგოლე პასად აქცია — გაკაპიწებულმა და **გია თოდუას** არაყოფნაში კლუბის ცენტრფორვარდად ქცეულმა **ტარიელ კუკულაძემ** სტუმრები უშანსოდ დატოვა, 1:0.

ამის შემდეგაც უპირატესობას გურულები ფლობდნენ, თუმცა სტუმრებს ტერიტორიული უპირატესობა თითქმის არ დაუთმიათ. რეალურ ხიფათებამდე საქმე პირველ ტაიმში ალარ მისულა, ეგაა — უფრო მწვავედ ლანჩხუთელები იჩხვლტებოდნენ.

თამაშის განახლების შემდეგ მათი უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა. აშკარა იყო, ისინი მინიმალურ შედეგზე ყაბულს არ იყვნენ, თავის მხრივ ნაგებაზე შეგუებას არც წალენჯიხელები აპირებდნენ. ტაიმის ნაწყვეტებში პირველ ნახევარში ლანჩხუთის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის გამო „გურია" საშინაო შეხვედრებს სათადარიგო მოედანზე მართავს. დილიდან მოსული უხვი ნალექის მიუხედავად გურულთა სარეზერვო არენა მზადყოფნაში დაუხვდა სათასო პაექრობას — 25 წლის წინათ დაგებულმა საფარმა და მისმა სადრენაჟე სისტემამ წყლის გაწოვა იოლად მოახერხა.

მატჩი მასპინძლების შეტევებით დაიწყო და უკვე მე-6 წუთზე იხეირეს ლანჩხუთელებმა: „გურიის" ახალწვეულმა, **ლევან ვართაგავამ** საჯარიმო დარტყმა საგოლე პასად აქცია — გაკაპიწებულმა და **გია თოდუას** არაყოფნაში კლუბის ცენტრფორვარდად ქცეულმა **ტარიელ კუკულაძემ** სტუმრები უშანსოდ დატოვა, 1:0.

ამის შემდეგაც უპირატესობას გურულები ფლობდნენ, თუმცა სტუმრებს ტერიტორიული უპირატესობა თითქმის არ დაუთმიათ. რეალურ ხიფათებამდე საქმე პირველ ტაიმში ალარ მისულა, ეგაა — უფრო მწვავედ ლანჩხუთელები იჩხვლტებოდნენ.

თამაშის განახლების შემდეგ მათი უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა. აშკარა იყო, ისინი მინიმალურ შედეგზე ყაბულს არ იყვნენ, თავის მხრივ ნაგებაზე შეგუებას არც წალენჯიხელები აპირებდნენ. ტაიმის ნაწყვეტებში პირველ ნახევარში ლანჩხუთის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის გამო „გურია" საშინაო შეხვედრებს სათადარიგო მოედანზე მართავს. დილიდან მოსული უხვი ნალექის მიუხედავად გურულთა სარეზერვო არენა მზადყოფნაში დაუხვდა სათასო პაექრობას — 25 წლის წინათ დაგებულმა საფარმა და მისმა სადრენაჟე სისტემამ წყლის გაწოვა იოლად მოახერხა.

მატჩი მასპინძლების შეტევებით დაიწყო და უკვე მე-6 წუთზე იხეირეს ლანჩხუთელებმა: „გურიის" ახალწვეულმა, **ლევან ვართაგავამ** საჯარიმო დარტყმა საგოლე პასად აქცია — გაკაპიწებულმა და **გია თოდუას** არაყოფნაში კლუბის ცენტრფორვარდად ქცეულმა **ტარიელ კუკულაძემ** სტუმრები უშანსოდ დატოვა, 1:0.

ამის შემდეგაც უპირატესობას გურულები ფლობდნენ, თუმცა სტუმრებს ტერიტორიული უპირატესობა თითქმის არ დაუთმიათ. რეალურ ხიფათებამდე საქმე პირველ ტაიმში ალარ მისულა, ეგაა — უფრო მწვავედ ლანჩხუთელები იჩხვლტებოდნენ.

თამაშის განახლების შემდეგ მათი უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა. აშკარა იყო, ისინი მინიმალურ შედეგზე ყაბულს არ იყვნენ, თავის მხრივ ნაგებაზე შეგუებას არც წალენჯიხელები აპირებდნენ. ტაიმის ნაწყვეტებში პირველ ნახევარში წუთებში შანსი ორივე გუნდს მიეცა — **ჯერ მასპინძელთა ახალწვეულ ალეკო შენგელიას** შორეული დარტყმა ძელმა მოიგერია, ხოლო სქურელმა **რობიკო ცობახიამ** ხელიდან გაუშვა გათანაბრების ჩინებული და ერთადერთი შანსი — მეკარესთან პირისპირ გასულს **გიორგი ძაძამიამ** აჯობა და თავისიანები აშკარა გოლისგან იხსნა.

სამაგიეროდ, 72-ე წუთზე გაიტანეს გურულებმა — ამჯერადაც საკოლე გადაცემას ისევ ჯარიმიდან **ვართაგავა** აკეთებდა, თუმცა ბურთი კარისკენ ნავიდა, მეკარემ ბურთისთვის მხოლოდ ხელის მარტყმა მოახერხა და იქვე მყოფმა **ტარიელ კუკულაძემ** დუბლი მიითვალა.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **ლევან ვართაგავას** ამ სეზონში (მხოლოდ 2 შეხვედრაში!) უკვე 5 საგოლე პასი დაუგროვდა.

მატჩის მინურულს ლანჩხუთელებს მესამის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ **ჯერ გოდერძი მაჩაიძის** დარტყმული მოხვდა ხარიხას, ხოლო ბოლოს — გაიტანეს კიდეც, მაგრამ მსაჯებმა გააუქმეს, რადგან ლანისმენმა მიიჩნია, რომ გაგანამდე გურული ფორვარდები თამაშგარეში იმყოფებოდნენ.

მაია ბურული
ლანჩხუთიდან

ცოტა სენსაცია და ბევრი კანონზომიერება

29.08. ლანჩხუთი. 33 მაყურებელი. 300 მაყურებელი

გურია	სპორი
2	0

1:0 ტ. კუკულაძე (6. ვარანავას პასით), 2:0 ტ. კუკულაძე (72. ვარანავას პასით)

გურია 4-4-1-1	სპორი 4-1-4-1
ძაძამია	ხარებილავა
მარიამი	ღარიბაშვილი
ლალაძე	ფუტკაძე
მამალაშვილი	ბოლაძე
რ. ჯუღელაძე	მიქანაძე
რაქვიაშვილი	სპორთელი
გოგიჩაიშვილი	ქვილი
პარციხაძე	ფუტურისტი
ა. ჭინჭალაძე	გაგნიძე
ჯეირანიშვილაძე	ჯიქიაური
ტ. ჯუღელაძე	ცოტაძე
მწვრთნელი თ. ლორია	მწვრთნელი ნ. ბოცვაძე

გურია

56. შენგელია – ნაცვლიშვილი
67. გოგიბერიძე – წერეთელი
83. ვარანავა – მენთიაშვილი

სპორი

71. კვირკვია – ჩიტია
83. სარჯანია – არახამია
83. ცოფურია – ჯაფარიძე

გაფრთხილება: მაჩაიძე (44), კვირკვია (70), ნერეთელი (74), მიქანაძე (78), შენგელია (90)

არბიტრი: ი. ჩირკაშვილი (ქუთაისი)

დინამო-სტუ 8:0

დინამო: ლორია, სეთურიძე, გველესიანი, გ. კვარაცხელია, რეხვიაშვილი, ალეკო (46. დვალი), ძარია, რობერტიანი, მერებაშვილი (57. კოტო), ჩილაია (56. ხმალაძე), ვოსკობოინიკოვი.

გოლები: 1:0 ვოსკობოინიკოვი (8), 2:0 ვოსკობოინიკოვი (24), 3:0 ალეკო (30), 4:0 მერებაშვილი (34), 5:0 ჭაჭანაძე (53. ს. კ.), 6:0 რობერტიანი (59. პენ.), 7:0 ვოსკობოინიკოვი (71), 8:0 დვალი (88)

რეგორც მოსალოდნელი იყო, "დინამო" საკუთარ მოედანზე ქვედაკლასელს დამაჯერებლად გაუმკლავდა და განმეორებითი მატჩის სრულ ფორმალობად აქცია. მეტოქის ფაქტორის მოუხედავად, "დინამოს" თავკაცმა **დუშან უჰრინმა** ოპტიმალურთან მიახლოებული სასტარტო შემადგენლობა დაადგინა. პეთ-თორეით გამოირჩა დედაქალაქელთა ეს ტრონელი ახალწვეული **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი**, მატჩის ბოლოს კი ახალი გუნდის მაისური თავი **ჯაბა დვალმაც** გამოიჩინა.

საპასუხო შეხვედრაში უჰრინს უკვე ნამდვილად მიეცემა იმის საშუალება, რომ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები დაასვენოს. ამ გუნდების მეორე შეხვედრაც ორმხრივად სასარგებლო ტესტმატჩის ხასიათისა იქნება.

ლიახვი-საკრებაკი 2:1

საკრებაკი: გ. ნადირაძე, ჭაფოძე, თევზაძე (76. თ. მაქაცარია), ქურდაძე, ბურჩხანძე, ლემონჯავა (87. ჩიქვაძე), ჯ. კილასონია, თ. შონია, გ. ვაშაკიძე (46. ზ. მეგრელიძე), გელაშვილი, ფუხარელი.

გოლები: 1:0 მინდორაშვილი (20), 1:1 დ. გელაშვილი (59), 2:1 თოლორდავა (67)

25 აგვისტოს, ეს გუნდები პირველი ლიგის სასტარტო ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემპიონატის მატჩში ცხინვალელებმა სამი უშასუხო გოლის გატანით მონინააღმდეგეს პირველ ტაიმშივე გადაუწურეს იმედი, მეორე ნახევარში აღარაფერი შეცვლილა და **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა 3:0 მოიგო.

ბუნებრივია, სათასო დაპირისპირებაშიც ფავორიტი "სპარტაკი" იყო, მაგრამ "ლიახვმა" შეძლო და რევანში აიღო. თავიდანვე გეტყვით, რომ არაბეთელთა სანინაო არენა გორის "ქართლის" სტადიონია, მაგრამ იქ სარემონტო სამუშაოები არ დასრულებულა და მეტოქეთა შეთანხმებით, "ლიახვმა" "სპარტაკს" თბილისში, „ბედნიერზე" უმასპინძლა.

როგორც "სპარტაკის" პრესსამსახურისგან შეიტყობეთ, ცხინვალელებმა მეტოქეზე უკეთესი საგოლე მომენტები შექმნეს, მაგრამ ერთზე მეტი ვერ გაიტანეს. ამაბეთელებმა კი კარგად ისარგებლეს მონინააღმდეგის ცენტრალური მცველების უხეში შეცდომებით და ფავორიტი დასაჯეს.

სამგზარალი-კოლხეთი (ქ) 0:2

გოლები: 0:1 კვანტალაძე (4), 0:2 კრასოვსკი (14. პენ.)

სამტრედია-მერანი	0:0
მერცხალი-შუქურა	0:3
ზუგდიდი-ილორეთი	4:1
ჩხერიველა-გაზთში	4:2
ჩიხურა-კოლხეთი (ხ)	2:0
ალბა-ქიონი	1:3

ლიგა

გაგრა-ძრაშური

სხვა მატჩების უმრავლესობა ლეგიური ანგარიშით დასრულდა, თუმცა გამონაკლისიც იყო – ბაიუმის "დინამომ" ხარაგაულის "ჩხერიმელასთან" სტუმრად განცდილი მარცხით საქმე ძალიან გაირთულა და ახლა განმეორებით მატჩში ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მართება.

მერვედფინალის საგზური, ფაქტობრივად, დაბეჭდებული აქვს ქობულეთის "შუქურას", რომელმაც ოზურგეთში სოლიდურ გამარჯვებას მიაღწია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავი თითქმის ქუდში აქვთ ბოლონის "სიონს", "ზუგდიდსა" და ფოთის "კოლხეთს". საქართველოს ჩემპიონატის თანაბარდერ საჩხერის "ჩიხურას" ხოპში მოუწევს ორბურთიანი უპირატესობის დაცვა, მარტგილის "მერანმა" კი აბაშაში "სამტრედიას" ვერ მოუგო და ახლა საკუთარ მოედანზე მოუწევს იმის დამტკიცება, რომ შეძლებ ეტაპზე თამპიის ღირსია.

დღეს "გაგრა" "ჭიათურას" უმასპინძლებს, საპასუხო მეთექვსმეტედფინალური მატჩები კი 17-18 სექტემბერს გაიმართება. სხვა ეტაპების მსგავსად, მერვედფინალი, სადაც თასისთვის ბრძოლაში ევროტურნირების მონანილე ქართული კლუბებიც ჩაერთვებიან, 2013 წლისთვისაა დაგეგმილი.

ლევან ჯანჯღაშვილი

დინამო-სტუ

ფოტო: fcdinamo.ge

ტრანსფერი

თექთურგანიძე მეგალურგს დაუბრუნდა

ვპრემიერ ლიგაზე ალბანურ "ტუჯასთან" მშვენივრად ჩატარებული შეხვედრების შემდეგ, მოულოდნელად რუსთავის "მეტალურგის" ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი თექთურგანიძე** თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა.

გიორგი მშვენიერ ფორმაში იყო, თბილისელებმა კი საკადრო პრობლემების გამო, იფარით გამბედაობა 21 წლის პლეიმეიკერის დაბრუნება მოისურვეს.

იყო იმედი, რომ ფორმააღდგენილი თექთურგანიძე "დინამოში" ახლა მაინც დამკვიდრებდა ადგილს. მაგრამ ჩემპა მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** მისი ადგილი ვერ მოძებნა და ახალგაზრდა ფეხბურთელმა უთამაშებლობას ისევ "მეტალურგში" დაბრუნება ამჯობინა.

ინფორმაცია გადავამოწმეთ და სიმართლე აღმოჩნდა. როგორც გეითხრეს, გიორგი რუსთავიულ კლუბში კვლავ იფარით ითამაშებს – ამჯერად, დეკემბრის ბოლომდე.

მერაბ მაჭულაშვილი

ჩელსი

დიდი დროება ლონდონში ოჯახისა და მეგობრების სანახავად ჩავიდა

ლონდონი არ ნებდება

მიუხედავად იმისა, რომ "ლეგენდარული ზენმა" "ჩელსის" **ანდრეი შურლეს** ტრანსფერზე უარი რამდენჯერმე უკვე უთხრა, ლონდონელები დანებებას არ აპირებენ და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გერმანელებს კიდევ ერთხელ შესთავაზებენ გაიმეორებენ წინადადებას. უკანასკნელად ინგლისური გრანდი ფეხბურთელში 17 მილიონ ფუნტს იხდიდა. რამდენით მეტს იმეტებს ამჯერად "ჩელსი", ინგლისური წყაროები არ წერენ. **რობერტო დი მატეოს** გუნდს სამი გარემარტი უკვე გადაიბარა, მათ შორის **ედენ ჰზარი**, ვისაც ცენტრშიც შეუძლია თამაში, **მარკო მარინი** და **ვიქტორ მოზესი**.

გარდა მატებისა, "ჩელსიმ" შესაძლოა უახლოეს დღეებში ორი ფეხბურთელი გაუშვას. ლაპარაკია **რაულ მეირელეშსა** და **მიკაელ ესიენზე**. განელი დიდი ხანია, გუნდის ძირითად ფეხბურთელად აღარ ითვლება და მასთან განმორება ნარმოუდგენლად სულაც არ გვეჩვენება. აი, რაც შეეხება პორტუგალელს, უჭვი გვეპარება, იტალიელი მწვრთნელი მას ასე ადვილად შეეცილოს. ესიენივე და მეირელეშიც თურქული "ფენერბაჰჩეს" სამოზნეში არიან მოქცეული. სტამბოლელები კონკრეტულ წინადადებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იფიქრებენ, თუკი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასცლას გაინაღდებენ. მოსკოვის "სპარტაკთან" მატჩი გუშინ ღამე უნდა გამართულიყო.

ესიენს "ჩელსიდან" წასვლის პერსპექტივა არ ხიბლავს, მაგრამ ხვდება, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ოდესმე მაინც მოუწევს. აი, რას ამბობს ფეხბურთელი: *"ის, რომ ლონდონიდან წასვლა შეიძლება მომიხდეს, არ მაშინებს, რადგან ფეხბურთელები გუნდებში მიდიან და მოდიან. ნამდვილად არ შემიძლია ამას ნინ აღვუდგე. ცხადია, რომ დასარჩენად აუცილებელია, გუნდის მოთხოვნებს აკმაყოფილებდე. "ჩელსი" პროგრესის გზას ადგას. იმისთვის, რომ კარიერა "სტემფორდ ბრიჯზე" გავაგრძელო, ყველაფერს ვაკეთებ. მწვრთნელი ალბათ დამიფასებს, რომ ძალასა და ენერგიას არ ვიშურებ. შემიძლია ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო, თუკი ეს გუნდს დასჭირდება. ყველანაირი პრობლემა, რაც მაწუხებს, ხშირი ტრავმების ბრალია. დიდი დრო დავკარგე და ძველებურ ფორმაში შესვლა არც ისე იოლია. დამიჯერეთ, ისევ ძველი ესიენი ვარ, ვისაც არ უმინდოა ორთაბრძოლების. ძალიან მინდა, "ჩელსიში" დავრჩე და მწვრთნელს მაჯლაბი ჩემი თამაშით გადავუხადო".*

დროება ლონდონში

დიდი დროება "ჩელსიდან" წასვლისას გულმემაკივრის შეპპირდა, რომ როგორც კი ამის შანსი მიეცემოდა, აუცილებლად ჩავიდოდა ლონდონში, რათა თანაგუნდელები პირადად მოენახულებინა. 34 წლის კოტდივუარელმა პირობა შეასრულა. ამ დღეებში "კოპპემის" ბაზას ეწვია. ვეტერანმა ვარსკვლავმა "ჩელსის" ოფიციალურ ვებგვერდს მოკლე ინტერვიუ მისცა, რომელსაც აქვს გთავაზობთ: *"ჩინეთის ჩემპიონატში სანაკრებო თამაშების გამო მცირე შესვენებაა. სწორედ ამის წყალობაა, რომ მეგობრებისა და ჩემი ოჯახის მონახულების შანსი გამიჩნდა. მეუღლე და ბავშვები ხომ ჯერ კიდევ ლონდონში არიან. ჩინეთმა ჩემზე ნარუმლული მთაბეჭდილება დატოვა. ის ახალი გამოცდილებაა. ამ მხრივ განსაკუთრებულად პირველი თვეები იყო გამორჩეული. ბევრი ახალი რამე შევითვისებ, ახალ კულტურას ვეზიარე. იქ ყველაფერი განსხვავებულია, ვიდრე ევროპაში და ყველაზე მეტად სწორედ ეს მომწონს. ალბათ ნახეთ ვიდეო, როგორ დამბედნენ ადგილობრივი ფანები. ისინი ნამდვილად განსაკუთრებულნი არიან. სტადიონებზეც თბილი აბრაზეფორი დამხვდა. ნიკოლა ანელკა თავს კარგად გრძნობს, ბედნიერია, რომ მასთან ერთად ვთამაშობ და ყველანაირად გვერდში მიდგას. ბოლო თამაშში ორი საგოლე გადაცემა მომანოდა. ერთი სიტყვით, იქაც იმას ვაკეთებთ, რასაც ლონდონში".*

ლივერპული

როჯერსის ექსპერიმენტი

"ბარლიანის" მტკიცებით, **ბრენდან როჯერსი** არ გამორიცხავს, რომ 28 წლის გარემარში **სტიუარტ დაუნინგი** მარცხენა მცველის პოზიციაზე დახიოს. აღნიშნული იდეა ჩრდილოირლანდიელ სპეციალისტს მას მერე გაუჩნდა, რაც "პარისთან" ეფროპა ლიგის მეხვედრის 30 წუთი სტუარტმა სწორედ უკანახელად ითამაშა და თანაც საკმაოდ უფექტურად. "ამის ალბათობა დიდია. ახალს არაფერს ვიგონებ. გაიხსენეთ თუნდაც ბორდი ალპას ან ეშლი ჯოულის მაგალითები. კარიერას ისინი სხვა პოზიციებზე იწყებდნენ. უკანასკნელი სერთოდ ცენტრალური თავდამსხმელი იყო. ამით ჩვენ ახალ ვარაუდი ფეხბურთელებს გავუხსენით გზას ძირითადი შემადგენლობის კენ. სტიუარტისთვის ეს არ იქნება ახალი. მაგალითად მან 2006 წელს "მიდლსბროს" რიგებში "სვეილოსთან" უეფას თასის ფინალშიც (4:0 ეპანელთა სასარგებლოდ. რედ.) მცველად ითამაშა. ასე რომ, გუნდისთვის სარეზერვო მოტანა მას ბევრად შეუძლია. ასეთი გადაადგილებებით ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის შემცირებაც შესაძლებელია. "პარისთან" ის შშვენიერად ერთვებოდა შეტევებში, დაცვაშიც კარგად ირეკობოდა. ვფიქრობ, მას ამ როლის შესრულება მომავალშიც შეეძლება. დრო გვიჩვენებს, რამდენად გაამართლებს ჩვენი გადაწყვეტილება. ნამდვილად არ მინდა, რომ რომელიმე ფეხბურთელზე ვთქვა უარი. მათთვის ალტერნატიულ ვარიანტებს ამიტომაც ვეძებ, რომ როგორმეყველა ემაყოფილი დარჩეს. დაუნინგს, როგორც შემბვე ფეხბურთელს, რა თქმა უნდა მომავალი აქვს. პირველად, როცა ჩემი იდეა გაუვზიარე, ის ცოტა აღელდა პერსპექტივით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სტიუარტი მზად არის, თავი ახალ ამპლუაში მოსინყოს," – განაცხადა ბრენდან როჯერსმა.

რეინას დაბლიორი სჯირდება

"ლივერპულის" ესპანელ კარის დარაჯს, 29 წლის **პეპე რეინას** ღირსეული დუბლიორი სჭირდება. ამ მიზნით მერსისაიდელებმა ზაფხულის განმავლობაში ორჯერ უკვე მიმართეს "ეულვერჰემპტონს" და **დორუს დე ვრისის** ტრანსფერზე მოლაპარაკებების დანყება შესთავაზეს. 30 წლის პოლანდიელი მზადაა, კარიერა "ენფილდზე" განაგრძოს, მით უფრო, რომ მას როჯერსთან შესანიშნავი ურთიერთობა აკავშირებს. ისინი "ლოსისში" ერთი წელინადი მუშაობდნენ მხარდამხარ. ძირითადი გუნდის განაცხადში შეიყვანენ რეზერვისტთა ძირითად მეკარეს, 22 წლის უნგრელ **ჰუბერ გულაშის**. "დელი მეილის" ინფორმაციით, ეს ნიშნავს, რომ ახალი გუნდების მონახვა მოუწევთ ბრაზილიელ **დონისა** და ავსტრალიელ **ბრედ ჯონსს**.

სტიუარტ დაუნინგი

არსენალი

უოლკოტი ვან პერსის გზაზე

თეო უოლკოტი არსენალიდან მიდის

თეო უოლკოტს "არსენალთან" კონტრაქტი 2013 წლის 30 ივნისს უმთავრდება. წესით, მოლაპარაკებები უნდა დანყებულიყო კლუბსა და ფეხბურთელის ადეკნს შორის თანამშრომლობის გახანგრძლივების შესახებ, მაგრამ უოლკოტმა **რობინ ვან პერსის** მსგავსად განაცხადა, რომ "მეთოფეთა" შორის დარჩენას აღარ აპირებდა. რაკი უეფას მიერ სატრანსფერო ფანჯარა 4 სექტემბრამდეა გაგრძელებული, გამოდის, რომ ჩრდილოლონდონელებს სულ რაღაც 5 დღე რჩებათ 23 წლის გარემარის გასაყიდად. ნინააღმდეგ შემთხვევაში ის ინვარში უნდა დათმოს იაფად ან კიდევ მომავალი წლის ზაფხულზე სულაც უფასოდ. უოლკოტის ამჟამინდელი ანაზღაურება კეთრაში 60 ათასი ფუნტია. თავის დროზე ფეხბურთელი ხელფასის გაზრდას 100 ათასამდე ითხოვდა, მაგრამ კლუბისგან უარი მიიღო. "არსენალი" მას კეთრაში 15 ათასის მომატებას პპირდებოდა. სიტუაცია შეიძლება უახლოეს 48 საათში შეიცვალოს, თუმცა ამის შანსი მიზერულია. დიდი ალბათობით უოლკოტი "ემირეიტსიდან" წავა და კარიერას ან "მანჩესტერ სიტიში" გააგრძელებს, ან "ლივერპულში". "მეთოფეები" იხელისს ნაკრების ფეხბურთელში 15 მილიონ ფუნტს ითხოვენ. თეო "არსენალში" 2006 წლის იანვარში "საუთამპტონიდან" გადავიდა. "არსენალმა" მაშინ "წმინდანებს" 13 მილიონი გადაუხადა. 6,5 წლის განმავლობაში ფეხბურთელმა ლონდონელთა ეირსება 222-ჯერ დაიცვა, სადაც 22 გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ უოლკოტი "არსენალის" უკვე მესამე ლიდერია, ვინც ამ ზაფხულს გუნდს ტოვებს. მოგვსენებათ, **რობინ ვან პერსიმ** "მანჩესტერ იუნაიტედს" მიაშურა, **ალექს სონგმა** – "ბარსელონას".

"მეთოფეები" შეეცდებიან, მთელი რესურსი მიმართონ "მანჩესტერ სიტიდან" **ედინ ჯეკოს** გადასაბირებლად, - ნერს "მირორი". 26 წლის ბოსნიელს **რობერტო მანჩინი** სარეზერვო ფეხბურთელად განიხილავს, რაც მას ძალიან აღიზიანებს. ამ ზაფხულს ჯეკოს ტრანსფერზე ბევრი იწერებოდა. მაგალითად, გერმანული გაზეთები მას "ბაიერში" უწინასწარმეტყველებდნენ გადასვლას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. **არსენ ვენგერის** აზრით, ბოსნიელი შეძლებს გუნდის შემბვეი პოტენციალის გაძლიერებას. იმავე "მირორის" ცნობით, დედაქალაქელებს "სუონსიდან" ესპანელი მარჯვენა მცველის, **29 წლის ანხელ რანხელის** შეძენა სურთ და მზად არიან "გადებს" 4,5 მილიონი ფუნტი გადაუხადონ.

მილანი

მილანმა კრკიჩით დაასრულა?

გალიანიმ კაკა, კეროლი და პალომბო გამორიცხა

ბოიან კრკიჩი კარიერას "მილანში" გააგრძელებს

ბოიან კრკიჩი

დღესიე

დაიბადა: 1990 წლის 28 აგვისტოს

დაბადების ადგილი: ლინიოლა (ესპანეთი)

ახ. კლუბი: ბარსელონა (1999-2006)

კარიერა: ბარსელონა B (2006-2007), ბარსელონა (2007-2011), რომა (2011)

ესპანეთის ნაკრები: 1 თამაში

ენდი კეროლი

კეროლის გადაბირებას მართლაც ვლამობდით, მაგრამ მასში იმხელა თანხა მოითხოვეს, რომ მილანარაკების პროცესი მალევე შეწყდა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ათეულობით მილიონი მხოლოდ ისეთ ფეხბურთელში უნდა გადაიხადო, რომელიც თავის პოზიციაზე საუკეთესოთა სამეულში შედის. ბოიან კრკიჩის სახით, ძალიან ძლიერი შემხტუნი დავიმატეთ და ამით, თავდასხმა პრაქტიკულად დავაკომპლექტეთ – ასე რომ, ენდი კეროლის "მილანში" გადმობარგება გამორიცხულია.

ანჯელო პალომბო

"სამშდორიას" მესვეურებმა პალომბოს გადაბირება შემოგვთავაზეს, მაგრამ უარი განვაცხადეთ, რადგან ნახევარდაცვაში ფეხბურთელთა სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივით. პრესაში არაერთხელ დაინერა, რომ ანჯელოს გადასაბირებლად ყველაფერს ვაკეთებთ, რაც სრული აბსურდია – პალომბო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მისი გადმოყვანა ჩვენს გეგმებში არასდროს ყოფილა.

■■■

ბოლოს, რას ამბობს თავად „მილანის" ესპანელი ახალწვეული, რომელიც "როსონერიში" გადაბარებამ უზომოდ გაახარა: "გადაწყვეტილი ამბავია, რომ კარიერას "მილანში" გავაგრძელებ, რამაც ძალიან გამახარა და ამას არც ვმალავ. ატარო "როსონერის" მაისური, ჩემთვის დიდი პატივია და მოტივაციას მიამამაცებს. ყველანაირად შევეცდები, რომ ჩემ მიმართ გამოხატული ნდობა გავამართლო და გულშემატკივრებს თავი შევაყვარო. მოუსვენარ იმისა, რომ "მილანი" ამ ზაფხულს ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ და მჯერა, რომ ტროფეებსაც მოვიპოვებთ".

კაკა

კაკას თაობაზე, მოლაპარაკებები ძალიან დიდხანს მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ, შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ხუთჯერ მაინც ჩავფრინდი მადრიდში, რომ ეს საკითხი დადებითად გადაგწყვიტა, მაგრამ ბედმა ასეთი ინება. რაკარლოს გადაბირება ძალიან გვინდოდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ კაკამ საუკეთესო ლღები უკან მოიტოვა და შესაბამისად, ისეთ ხელფასს ვერ გავაკუნდით, როგორსაც საუკეთესო პერიოდში იღებდა. მესმის, რომ ტიფოზებს კაკას დაბრუნება ძალიან უნდათ, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ – მადრიდში გადაფრენას აღარ ვაპირებ...

ინტერვიუ. ანდრეა სტრამაჩონი

ახალი სეზონი "ინტერმა" რიხიანად დაიწყო – სერია A-ს პირველ ტურში "ვესკარას" ესტუმრა და მეტოქეს სამი გოლით გაუსწორდა. ეს იყოს და მილანელებმა მესანიშნავი თამაში უნდა ჩაუტარონ ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ კომპონენტში დაწაგრეს დიახ, ამბიციური, რაღაც მხრივ ავანტიურისტული "ვესკარას" მწვრთნელ-ფეხბურთელი შააბაზი ... ეუბნებოდნენ და "ინტერს" დიდ პრობლემებში ხედავდნენ, რომლებიც, საფეხბურთო ექსპერტების კი უკვე თამამად საუბრობენ, რომ "ინტერი" მიმდინარე სეზონში საუკეთესოდ იბრძოლებს, თანაც აუცილებლად დანარჩენზე "ნერატორის" მთავარი მწვრთნელი, ანდრეა სტრამაჩონი ისაუბრებს...

მიზანი ლიგაა, თუმცა მეტიც შეიძლება...

– გჯერათ, რომ „ინტერი" სუდეტოს მოიგებს?

– ჯერ მხოლოდ ჩემპიონატის სტარტია, მთელი პირველობა წინაა და პრიორიტეტებს გაკეთება უმადლესი საქმეა. იმედი მაქვს, ამ დიდ გზაზე ფორტუნა ჩვენს მხარეს იქნება და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოვხვდებით. დიახ, ჩვენი მიზანი სამეულში ადგილის მოპოვებაა და თუ უფრო მეტსაც შევწვდით, მაშინ ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება. ისე კი, არასწორი იქნებოდა მხოლოდ სკუდეტოს მოპოვება დაგვესახა მიზნად, რადგან ვუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ნებისმიერ მწვრთნელს გარკვეული დრო სჭირდება მესაძლებლობების რეალიზებისთვის. ერთი სიტყვით, სკუდეტოს მოპოვება ჩემთვის არავის მოუთხოვია, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ ტროფეებსაც მოვიპოვებთ".

ანდრეა სტრამაჩონი

– ამ ზაფხულს, ვესტი სნეიდერში დიდძალ თანხას იძლეოდნენ, ერთი წუთითაც არ გიფიქრიათ მისი გაყიდვა?

– რა თქმა უნდა არა. სნეიდერის გაყიდვა უდიდესი სისულელე იქნებოდა, რადგან აღებულ თანხას უფრო კანონზომიერად ვერ დავხარჯავდით. ვესლი ფასდაუდებელია და თუ ამბიციები გაქვს, მაშინ ის არანაირ ფასად არ უნდა გაყიდო. ამ ზაფხულს ჩვენი მიზანი გუნდის გაძლიერება გახლდათ და სნეიდერის გაყიდვით ყველაფერი ნაყალი იცრებოდა. მართალია, ლიგაში ვერგასვლით დიდი ფინანსური ზარალი ენახეთ, მაგრამ „ინტერი" ისე არ დაეცემა, ფულის გამო ფეხბურთელებს შეელალოს.

– რას ფიქრობთ კონკურენტებზე?

– ეს კითხვა რამდენჯერმე დამისვეს და სიმართლე გითხრათ, მიჭირს პასუხის გაცემა; ჯერ ისიც არ ვიცი, როგორი იქნება მიმდინარე სეზონში „მილანი" და რისთვის იბრძოლებს, შესაბამისად, ვერც იმას ვიტყვი, ვისთან მოგვიწევს კონკურენცია. დიდი იმედი მაქვს, რომ ბრძოლა ღირსეულად წარიმართება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

გენერალი მოამზადა

ლაშა ნიკალაშვილმა

სავარაუდო ტრანსფერი

ბერბატოვი თითქმის ფლორენციელია

"ფიორენტინას" მესვეურები აღარ ხუმრობენ, რადგან დიდი აღბათობით, დღეს დღეზე **დიმიტარ ბერბატოვს** გაიფორმებენ. დიახ, 31 წლის ბულგარელი ფორვარდი "მანჩესტერ იუნაიტედს" გამოეთხოვება და სავარაუდოდ, კარიერას სერია A-ში გააგრძელებს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, იტალიური და ინგლისური კლუბების წარმომადგენლებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც, ფლორენციელები დიმიტარის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს გადაიხდიან; ხელშეკრულება 3-წლიანი იქნება და კონკურენტი ინფორმაციით, ფეხბურთელი წლიურად 1.5 მილიონ ევროს აიღებს. აგტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, კლუბსა და ფეხბურთელს შორის ხელშეკრულების დეტალები ჯერ კიდევ შესათანხმებელია, მაგრამ პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ მოლაპარაკების პროცესში რაიმე გაუგებრობა მოხდეს. მოკლედ, ბერბატოვი დიდი ალბათობით "ფიორენტინის" მოთამაშე გახდება და ამას "ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** ადასტურებს:

"დიმიტარ ბერბატოვის გადაბირება ჩვენი პრიორიტეტული მიზანი იყო და ამ მიზნის მიღწევასთან ძალიან ახლოს ვართ. სტევან ივოვტიჩს ექსპრესკლასის მეწყვილე სჭირდება და ამას კარგად ეცნობიერებთ. ბერბატოვი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა, თუმცა არც ტექნიკა დაეწურება და ისწორედ ეს გვხიბლავს მასში. დიდი იმედი მაქვს, რომ ბულგარელ ფორვარდს უახლოეს დღეებში ოფიციალურად გავიფორმებთ".

ARCHIVE

ინტერვიუ, ფაქტები და ანალიზი. ლუკა მოდრიჩი

ვისაც ბოსნიაში უთამაშია, დედამიწის ზურგზე ყველგან გამოიჩენს თავს

იქ, სადაც ნური ჩაფლავდა, ლუკა იკაშკაშებს?



ლუკა მოდრიჩი, რეალის ახალი იმედი

რეალის მეოთხე სორვახი

26 წლის **ლუკა მოდრიჩი** მეოთხე ხორვატია, რომელიც „რეალის“ მაისურას მოირგებს. 90-იან წლებში „სამეფო კლუბში“ **რობერტ პროსინეჩკი, დავორ შუკერი** და **რობერტ იარნი** თამაშობდნენ. მათ პრაქტიკულად ყველა ტიტული მოიგეს გუდთან ერთად, რომლის მოგებაც საკლუბო ფეხბურთში შეიძლება. მოდრიჩის გამორჩევით „რეალში“ ნათამაშები ხორვატთა რიცხვი სერბებისას გაუთანაბრდა. ჯერ ლუკაზეა.

რაც შეეხება ლეგიონერებს ზოგადად - „რეალის“ 110-წლოვან ისტორიაში სულ 30 ქვეყნის წარმომადგენლებს უთამაშიათ. მათ შორის ყველაზე მეტი არგენტინელია (29) და ბრაზილიელი (20). სამხრეთამერიკელთა შემდეგ მოდიან: ფრანგები (16) და ინგლისელები (11). სამწუხაროდ, ჯერ ერთ ქართველ ფეხბურთელსაც კი არ მოურგია „რეალის“ თეთრი მაისური.

როგორც ჩი გამოვიცვეთ...

ბუნებრივია ახალწვეულთან ინტერვიუ პირველმა „რეალმადრიდ ტვ“-მ ჩაწერა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. ინტერვიუ ესპანეთის სუპერთასის საპასუხო მატჩისშედეგ ჩაწერილი:

ლონდონის ოლიმპიადა წარმატებული გამოდგა რუსეთის ქალთა ჭიდაობისთვისაც, რომლის ნაკრებსაც თამაშებამდე ორიოდე თვით ადრე მთავარ მწვრთნელად ცნობილი ვეტერანი ფალავანი, მსოფლიოს ჩემპიონი **იური შახმურადოვი** დაუნიშნეს. ისტორიაში პირველად, ბრიტანეთში ოლიმპიური ოქრო რუსებმა მოიპოვეს - 72 კილოგრამში **ნატალია ვორობიოვამ** გაიმარჯვა. მადლიერმა სპორტსმენმა პირად მწვრთნელ **კამილ ჯიგანშინს** ამაგი ღირსეულად დაუფასა - „ნისანის“ ჯიპით დაასაჩუქრა. ვორობიოვა მშობლიური ტუვუნიდან როცა პეტერბურგში გადასული სავარჯიშოდ ჯიგანშინთან, მაშინ დაპირებია, ოლიმპიადაზე თუ გაიმარჯვებ, მანქანას ვიყიდი და პირობაც შეასრულა. თუმცა ეს არაა ვორობიოვას ერთადერთი სიქველე - ის ტუვუნში საჭიდაო დარბაზის გახსნას აპირებს.

ქალთა ჭიდაობაზე ლაპარაკს კი აზერბაიჯანული სიახლით დავასრულებთ - ისინი არა და არ ეშვებიან ბუღგარელ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონსა და ოლიმპიადის ორგზის ვერცხლის მედალოსან **სტანკა ზლატევას** (72). აზერბაიჯანელებმა მას თავისთან გადასვლა ლონდონის ოლიმპიადამდე შესთავაზეს 1 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, ახლა კი ისევ მიმართეს იმავე ნინადადებით. ზლატევამ ამჯერადაც იუარა შეთავაზება და განაცხადა, რომ მისი მიზანია, მშობლიურ ბულგარეთს ოქროს მედალი რიოში მოუტანოს, სანაცვლოდ კი ბულგაროლმა ფედერაციამ ჯილდოდ ზუსტად იგივე თანხა - 1 მილიონი დოლარი აღუთქვა.

ირაკლი თაბაძე

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲝᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

პირველ რიგში 3 მოგება რომ შემოეთავაზებინათ, დათანხმდებოდნენ

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა პოლანდიიდან დაბრუნების შემდეგ პრესკონფერენცია მოიწვია.

- დასრულდა პირველი წრე, ჩავატარეთ 4 თამაში და ამდენივე დავკრიხ. მოგინეიდათ იმიტომ, რომ განვიხილოთ განცდილი შეხვედრები და მომდევნო მატჩებზეც ვთქვათ. გვქონდა გრძელი ზაფხული, დაგრიხა კიდევ ორი ევირა შეგიბრებისა, რომელშიც ერთი თამამის შედეგიც ბევრს წყვეტს.

- რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით ნაკრების პირველ წრეში მიღწეული შედეგით?

- შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ვინმეს რომ ვთქვა, სანყის ოთხ მატჩში 3 მოგებაზე რა აზრისა ხარო, სიამოვნებით მივიღებდი. იმიტომ, რომ ჯგუფები ძლიერი მეტოქეები არიან და ერთი მატჩის მოგებაც არ არის იოლი.

- პოლანდიასთან თამაშს როგორ შეაფასებდით?

- 27 წუთის განმავლობაში წინ ვიყავით, თუმცა პოლის დავმარცხეთ. ყველა მატჩი სხვადასხვა სცენარით მიმდინარეობდა, ყველა მეტოქეს სხვადასხვაგვარად მივუდექით. დღეს მეორე დივიზიონში აღარ ვართ, რომ ამა თუ იმ გუნდთან მოგება გარანტირებული გვქონდეს. გადახედეთ, რა სიტუაციაა სხვა ჯგუფებში: მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტ თურქეთს 2 ნაგება აქვს, ასევე ორჯერ დამარცხდა სერბეთი, ჯერ ჩვრნოგორიასთან, შემდეგ ისრაელთან. კალაბურთის მთელი ევროპა თამაშობს...

- უახლოესი მეტოქე რუმინეთია...

- ვმუშაობთ, რაღა თამაშიდან თამაშამდე ნინ ვიარით. ზედმეტ გათვლებს არ ვაკეთებთ, უბრალოდ ვცდილობთ მოვიგოთ ყოველი მეოთხეთი, ყოველი ტაიმი, ყოველი თამაში. რუმინეთის ნაკრები რთული მეტოქეა, 1-2 ბაღალი დონის კალათბურთელი ჰყავს, თუმცა გუნდის თითოეული წევრი ანგარიშგასაწევია.

- რუმინეთთან ვიქტორ სანკიძის თამაშის საკითხი გარკვეულია?

- იგი თავს უკეთ გრძნობს და თუ მხრის ტრავმა საშუალებას მისცემს, რუმინეთში დაგეხმარება. მისმა არყოფნამ პოლანდიაში ბევრი რამ შეცვალა. მინდა აქვე ისიც ვთქვა, რომ გუნდის წარმატებაზე დიდ გავლენას ახდენს ჯგანშრთველის ფაქტორიც.

- რა შეიძლება ითქვას გუნდის სათადარიგოზე, ჩოლენდიაში არასათანადოდ იბერთებიან?

- მაგალითად, ჯოანდიაში არ გვყავდა სანკიძე და მის ადგილს სასტარტოში დავაყენებთ ანატოლი ბოისა. ასევე ვენდეთ ლევან ფაცაციას. მართალია, სათადარიგოებს თამაში დიდი ხნით არ უწევთ, მაგრამ ყველა შეხედრას თავისებური მიდგომა სჭირდება. ჩვენც სწორედ ამის მიხედვით ვმოქმედებთ. სხვათა შორის, პირველად სწორედ ალმერეში ვათამაშეთ ერთმანეთის გვერდით ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი.

- სანკიძისა და შენგელიას შემცველად, თუნდაც ვიქტორის არყოფნაში, როგორ ფიქრობთ, არ გამოგადგებოდათ ნიკა ცქიტიშვილი და ვლადიმერ ბოისა?

- მოხარული ვარ ნაკრებზე რომ ფიქრობთ. შესაძლოა ყველას ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება. ჩვენი მიდგომა კი ასეთია: ვიქტორ სანკიძის ბრალობაში მხოლოდ მძიმე ფორვარდად (4 ნომრად) თამაშობდა. თუმცა უნივერსალია, შეუძლია სამ პოზიციაზე გაიასრულოს. დაცვაში კი პირველად დაწყებული, მეხუთე ნომრით დამთავრებული ყველა ამპლუას კალათბურთელის წინააღმდეგ შეუძლია თანაბარი წარმატებით დაცვაში თამაში.



მაგალითად, გერმანიაში ცენტრის მეურვეობდა, ხოლო ლატვიასთან ერთ ეტაპზეც ბრძანდა - გამოამაშებელს. მასთან ერთად მძიმე ფორვარდად გვყავს თორნიკე შენგელია. 2010 წელს შედარებით ახალგაზრდა შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მას ნიკა ცქიტიშვილი ცვლიდა. შარშან, ევრობასკეტზე თორნიკე მსუბუქ ფორვარდად გადავიყვანეთ, რადგან სასტარტოში 4 ნომერზე ვლადიმერ ბოისა იყო. მძიმე თავდასხმელის პოზიცია ერთგვარად გადაგვართულია. შემეძლო ნიკა ცქიტიშვილი და ვლადიმერ ბოისა გუნდში დამეტოვებინა, მაგრამ მათ თამაში არ მოუნდებათ. ვფიქრობ, ჩვენც, ჟურნალისტებსაც და ფულშემაკოცრებიც კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ თორნიკეს თამაშისა და ზრდის კარგი საშუალება აქვს. გუნდი ნარმატებული მაშინ ეკ არის, როცა 12 საუკეთესოთა თავმოყრილი არამედ მაშინ, როცა 12 კალათბურთელი ერთმანეთის სათანადოდ ავსებენ. შემადგენლობა მე შევარჩიე. ვიცი, რომ ყველა გადაწყვეტილება, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, ამიტომ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ.

- პოლანდიასთან, ლატვიასთან და ბოსნიასთან მეოთხე პერიოდები წავაგეთ. ამის მიზეზი ფსიქოლოგია იყო თუ ფიზიკური მომზადება?

- ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ, რადგან საქართველოს ნაკრების კალათბურთელები უპირატესობის მოპოვების შემდეგ ნამდვილად არ ფიქრობდნენ, რომ თამაში მოგებული. უბრალოდ იყო გარკვეული პრობლემები მოსამზადებელ პერიოდში და გუნდი იმ კონდიციებში არ არის, რაც გვსურს. ზაზა ფაჩულია ტრავმის იშუამებდა, ამას დაერთო ოჯახური გარემოება და ოფიციალურ შეხვედრებმდე ჩვენთან მხოლოდ 7 დღე ივარჯიშა. განორგი შერმადინი ტრავმის გამო ხუთი თვე ისვენებდა, გეგიან შემოგვიერთდენ თორნიკე შენგელია და ჯეკიან პუღელი, რომლებიც ამერიკის საზაფხულო ლიგაზე თამაშობდნენ. ამ ყველაფერმა ფიზიკურ მზადებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა. მაგალითად, შარშან, ევროპის ჩემპიონატის წინ მთელი გუნდი პირველივე დღიდან ერთად ვარჯიშობდა.

- მომდევნო მატჩებისთვის რა არის შესაცვლელი?

- პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ხუთი ნამყვანი კალათბურთელი ბოლო წუთებს ენერგიულად შეხვდეს.

- დაცვაში თამამიც გამოსასწორებელია...

- წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს მომდევნო მატჩებში, 80 პროცენტით ზონური დაცვის წინააღმდეგ მოუწევს თამაში. საამისოდ კარგად უნდა მოეკმზადოთ. საერთოდ კი, ყველა გუნდს ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ. მაგალითად, რუმინეთი აქცენტს ფარქვეშიდან თამამზე აკეთებს, ლატვიის ხუთივე კალათბურთელი პერიმეტრიდან კარგად ტყორცნის, ხოლო ბოსნიას ორი ლიდერი ჰყავს, რომლებზეც იგება თამაში.

- მეორე წრეში რომ შემოგთავაზონ, რამდენს მოგება ნქნებით უბრალოდ?

- ჩემი მიზანია, მომდევნო წელს პრესკონფერენციაზე სლოვენიაში ვიყო. მთავარი ამოცანა ევროჩempionატის საგზურის მოპოვებაა.

- როცა ლაპარაკია გუნდის გაახალგაზრდავებაზე, უმჯობესი ხომ არ იქნება, თავად დაავკირდეთ ნაკრების მომავალ კანდიდატებს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობენ?

- NBA-ს გუნდში ვმუშაობ. საშნუხაროდ, ვერ ვახერხებ საქართველოში ჩამოსვლას. ეს ჩემი მინუსია. თუმცა აქ მყავს ასისტენტები, რომლებსაც ბოლომდე ვენდობი. ისინი საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული სპეციალისტები არიან.

- აღნაშნეთ, რომ მატჩების შემდეგ პრესკონფერენციებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვალთ, თუ გუნდი დამარცხდება. არის იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებიც გიხილოთ?

- ჩემი პირადი შეხედულება ასეთია: გამარჯვება კალათბურთელებს ეკუთვნით. ისინი მთელი წელინადი საქართველოს ფარგლებს გარეთ არიან და ახლა, პრესკონფერენციებზე უნდა მიეცეთ მედიასთან ურთიერთობის საშუალება. ასე რომ, თუ ბოსნიასა და პოლანდიასთან გავიმარჯვებთ, პრესკონფერენციებზე ვერ მიხილავთ.

ვაჟა სიმონიშვილი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

სპეცოპერაციას პრჩილ ჩოხელი ემსხვერპლა



საქართველო-დაღესტნის საზღვარზე, ლოპოტას ხეობაში, ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს სამხედრო ნაკრების მთავარი მწვრთნელი არჩილ ჩოხელი დაიღუპა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, 40 წლის ჩოხელი სპეცსამსახურები მსახურობდა, ნაკრების მწვრთნელად კი რამდენიმე თვის წინ დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ მალეც გუნდს მოსკოვში უნებედი ტურნირზე წასვლა, მაგრამ როსეთმა მხარემ ნწორედ სამუშაოს გამო ვიზა არ მისცა.

ლოპოტას ხეობაში, გავრცელებული ინფორმაციით, ქართული მხარიდან სამი კაცი დაიღუპა. „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებეს.

ირაკლი თაბაძე



რაზომ ვაგებთ მეოთხე პერიოდში?

ამ შეკითხვაზე პასუხს სამართლიანად მოითხოვს ქართული კალათბურთით შეგულიანებული ქომაგი

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მეორე ტურიდან, 18 აგვისტოდან ჩაერთო. მანამდე, 15-ში ბოსნია ლატვიას დაუპირისპირდა, ხოლო რუმინეთი - ჰოლანდიას. ვლახებმა ნიდერლანდელები „გალახეს“ და დაგვანახვეს, რომ ჰოლანდია ჯგუფის აუტსაიდერია. ბოსნიის ნაკრებმა კი ლატვია დაამარცხა - 87:84. ამ მატჩში ბოსნიელებმა ფაქტობრივად 6 კალათბურთელით ითამაშეს (მეშვიდემ მოედანზე მხოლოდ 6 წუთი გაატარა), ეს გარემოება ბოსნიელებთან ურთიერთშეხვედრებში ოპტიმისტურად განვაწყობდა, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ 6 კალათბურთელი მატჩის პირველი ნუთებიდან ბოლომდე ერთნაირი ენერგიით ვერ ითამაშებს. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ისეთ რთულ შეჯიბრებას, როგორიცაა ევრობასკეტის შესარჩევი ტურნირი - გუნდებს 3 დღეში ერთხელ უწევთ თამაში.

ბოსნიასთან მატჩისას ლატვიის ნაკრების შემადგენლობაში ვერ ამოვიკითხეთ გვარები: **ბლუმსი, ვალტერსი, შჩელ, ბიედრინსი...** ოთხიოდე კალათბურთელი უმაღლესი დონის ოსტატია, მაგრამ რიგ მიზეზთა გამო გუნდს არ (ან ვერ) ეხმარებიან. მწვრთნელ **აინარს ბაგატსკის** ახალგაზრდული შემადგენლობა მერჩია. თავად ლატვიელმა სპეციალისტმაც აღნიშნა - საქართველოს ნაკრებთან შედარებით ძალიან გამოუცდელები ვართო.

ქართველები შეჯიბრებაში მეორე ტურიდან ჩაებნენ და გამოაშკარავეს, რომ კლასით რუმინეთზე გაცილებით მაღლა დგანან.

დაღმასვლა

ჩნდება კითხვა, რა არის მეოთხე პერიოდის წაგების მიზეზი? ნაკრებზე გულშემატკივარი შეგვატყივა, ამიტომაც ცდაშიც ამ კითხვას, რომ მომდევნო ოთხი მატჩისთვის მაინც ვეცადოთ სიტუაციის გამოსწორებას.

პასუხი მარტივია: ხუთეულს, რომელიც თამაშებს ამთავრებდა, მეტოქესთან შედარებით ნაკლები ენერგია ჰქონდა. ეს თავად კალათბურთელებმაც თქვეს და პრესკონფერენციაზე გუნდის თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმაც** აღნიშნა. მწვრთნელმა ამიტომაც დაამატა: ვეცდებით მომდევნო შეხვედრებისთვის საბრძოლო ხუთეულის ენერგია ბოლო წუთებისთვის შემოვინახოთო.

ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვანთ: ლატვიის ნაკრებში კალათბურთელები ყოველი თვალის დახამხამებისას იცვლებოდნენ. ამიტომაც დარჩათ მათ ძალა ბოლო წუთებზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მჭიდრო პრესინგისათვის. ჩვენს გუნდს ასეთი ტაქიკა დაცვის გარღვევა კარგად ეხერხება, მაგრამ ამჯერად ძალა არ ეყო.

როგორც იგორ კოკოშკოვმა თქვა, გუნდი ისეთ კონდიციებში არ არის, როგორც ხუროს. ამის მიზეზად კი ის დასახელა, რომ შემდგენლობა საწვრთნელი პროცესისას თავიდანვე სრულად ვერ შეიკრიბა. ჩნდება კიდევ ერთი ლოგიკური კითხვა: თუ ხედავდა, რომ კალათბურთელები სათანადო კონდიციებში არ არიან, რატომ მცირითავდა მხოლოდ 7 კალათბურთელს? ხომ შეიძლებოდა მეორე წრეს არ დალოდებოდა და პირველშივე გამოეზოგა სასტარტო ხუთეული, რომელიც ოპტიმალურ შემცველობას ინარჩუნებდა? ნუთუ მთავარმწვრთნელმა ადრევე არ იცოდა, რომ ამერიკელი უნდა ყოფილიყო, ხელმძღვანელობდა მხოლოდ ცნობისმოყვარეობით?

> **ჩვენი გუნდი 2011 წელთან შედარებით უკეთესად (ხარისხი იგულისხმება) ვერ თამაშობს**

ბუქ ფორვარდად უამრავი მატჩი აქვს ეფექტურად ჩატარებული. თუ მაინცდამაინც ისე გვინდა, როგორც კლუბში, მაშინ თორნიკე შენგელია შარშანდელივით მესამე ნომრად უნდა იყოს, რადგან მას ამერიკულ კემპზე „ბრუკლინის“ მწვრთნელები მსუბუქ ფორვარდად ათამაშებდნენ და მომავალ სეზონშიც ამ პოზიციაზე უპირებენ გამწესებას. შენგელიას მეტი დრო უნდა მივცეთო, ამბობენ მწვრთნელები. ამას ყველა მიესალმება, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მაისის ბოლოა და ივნისის დასაწყისში იგი ბელგიის ჩემპიონატის პლეი ოფში თამაშობდა, შემდეგ ტრევიზოს კემპზე იასპარეზა, ამას მოჰყვა ორლანდოს საზაფხულო ლიგა. მოკლედ, თორნიკე მთელი ზაფხული სრული დატვირთვით ვარჯიშობდა, რათა ამერიკული გუნდის ხელმძღვანელობისთვის თავი მოეწონებინა. ასეთი ზაფხულის ფონზე, ხომ შეიძლებოდა მას ცქრატიშვილ ან ბოისა 15-15 წუთით დაბმარებოდნენ? ითქვა, რომ ფორვარდებს ბოლო ორ სეზონში ძალიან ცუდი მათ სრულებით გარანტიას აძლევდეს მსჯელობა.

> **რიცა ასეთ რთულ შეჯიბრებაში სამ დღეში ერთხელ თამაშობ, ყოველთვის ძოსალოდნელია ჩავარდნები. ერთი მატჩი შეიძლება ერთმა ითამაშოს კარგად, მეორე - მეორემ. ამიტომ მაღალი მიზნების გუნდი 10 კალათბურთელით უნდა ირჯებოდეს და არა ექვსი-შვიდით**

გამოცდილება

შარშან ითქვა - **მარკოზ პეინსი** ნაკრების რომ ჩამოვიყვანეთ, ევროპაში ერთ წლის თამაშის გამოცდილება ჰქონდა. ამიტომაც ვერ დავკვეხარა სათანადოდ. ამ ზაფხულს იგივე განმეორდა, ჩამოვიყვანეთ ევროპაში ერთი წლის გადმოსული **კორი ფიშერი**, თუმცა მალე მასზე უკეთესსაც მოვძებნეთ - ჯეიკობ პულენი, რომელიც შარშან იტალიის ჩემპიონატში გამოიდიოდა. საქართველოს ნაკრებს უცხოელი იმიტომ უნდა, რომ გადამწყვეტ მომენტში დაეხმაროს, ამისთვის კი სათანადო გამოცდილება საჭირო. პულენმა რუმინეთთან და ბოსნიასთან მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ ლატვიასთანა და ჰოლანდიასთან ბევრი შეცდომა დაუშვა. ამის მიზეზი, იცით, რა არის? - ისევ და ისევ ახალგაზრდული ასაკი. იგი 23 წლისაა, ზემოთ ნახსენებ შეიდეულში მხოლოდ შენგელიაზე უფროსია. უბრალოდ იმის თქმა გვინდა, რომ ნაკრებისთვის 30 წელს მიტანებული ევროპაში გამობრძმედილი ამერიკელი სჯობდა, თორემ ბევრ კონტინენტზე მოასპარეზე 23 წლის ამერიკელთა შორის პულენი შესაძლოა საუკეთესო არჩევანიც იყოს.

დაგვლოს

თავად იგორ კოკოშკოვის სიტყვებს მოვიხმობთ, რომელიც მან 2011 წლის დეკემბერში ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებისას თქვა:

- *საქართველოს ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე საუკეთესო თორმეტეულში მოხვდა. კარგად ვიცი, რომ ამაზე უარესი შედეგი 2013 წლის ევრობასკეტზე ქართველ გულშემატკივარს არ დააკმაყოფილებს.*

დღეს მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენი გუნდი 2011 წლთან შედარებით უკეთესად (ხარისხი იგულისხმება) ვერ თამაშობს. იმედი დავიტოვოთ, რომ შესარჩევი ეტაპის მეორე წრეს გაცილებით კარგ ხასიათზე დავასრულებთ. სამისო რესურსი ნამდვილად გვაქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲛᲑᲐ ᲔᲖᲠᲓᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲠᲐᲑᲔᲚᲡ ᲙᲚᲣᲑᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ „ᲮᲐᲠᲔᲑᲘ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲜᲔᲣᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲠᲫᲚᲝ ᲒᲣᲜᲓᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲐ ᲢᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲛᲘᲡᲬᲧᲠ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲡᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲚᲘᲡ ᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲜᲐᲨᲜᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓ, ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲑᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲗᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜᲡ, ᲠᲛᲓᲔᲜᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲨᲘ. ᲒᲣᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲔᲓᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓ, ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲑᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓ, ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲑᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

- ᲒᲐᲖᲐᲨᲣᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲓᲑᲔᲚᲝᲛᲔᲜᲔ ᲠᲝᲚ ᲙᲘᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲒᲐᲡᲕᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲖᲔᲛᲘᲗ ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲜᲯᲔᲠ ᲛᲝᲘᲪᲐᲛᲔᲜᲓᲐ. ᲐᲛᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲡᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲚᲘᲡ ᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲜᲐᲨᲜᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓ, ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲑᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲗᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜᲡ, ᲠᲛᲓᲔᲜᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲨᲘ

ფორმულა 1. ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

ყველაზე მეტი პატივისცემა ჰაკინენის მიმართ მქონდა

შემდეგ ვნერდით იმის შესახებ, რომ მომავალ უქმეებზე ლეგენდარული გერმანელი მიხაელ შუმახერი კარიერაში მე-300 გრანპრის გამართავს. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ბელგიის სპაზე მოხდება და ამასთან დაკავშირებით, გერმანულ გაზეთ „ბილდში“ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა.

მიხაელ შუმახერი

– 300 გრანპრი, შვიდი საჩემპიონო ტიტული. როდის დაიწყო ყველაფერი?

– და როდის დამთავრება, არა? და სად? (იცინის). საინტერესოა, რომ ყოველთვის ყველაფერი პირველ სპაზე ხდებოდა: პირველი რბოლა, პირველი გამარჯვება და სხვადასხვა ერთმანეთის გამორჩევადი სიტუაცია.

– თქვენ დაბადების ადგილი – კერპენია, მაგრამ, როგორც ჰილტი, სპაზე დაიბადეთ?

– ექვსწარუნა. შარშან კი სწორედ სპაზე აღენიშნე ფორმულა 1-ში ჩემი გამოსვლის 20 წლისთავი; აქაურობა ჩემთვის საკუთარი სახლივითაა და შესაბამისად, თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ.

– დეტალებში გახსოვთ თქვენი სამასივე რბოლა?

– რა თქმა უნდა, არა.

– სამაგიეროდ, ყველა გამარჯვებას გაიხსენებთ...

– არა. 20 წლის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

– ამ დროის განმავლობაში გართობისთვისაც პოულობდით დროს?

– უნდა დავფიქრდე. კარიერის დასაწყისში ასი პროცენტით კონცენტრირებული ვიყავი რბოლებზე. წლების განმავლობაში, საერთოდ არ ეეკარებოდი ალკოჰოლს, რადგან მიმაჩნდა, რომ ამით სიჩქარეს დავკარგავდი. მაგრამ შემდეგ, ლუდის სმა დავიწყე და აღმოვაჩინე: ისეც შემიძლო მოგება!

– რით განსხვავდება დღევანდელი სარბოლო დღე იმისგან, რაც 20 წლის წინ იყო?

– რა თქმა უნდა, ახლა უფრო ბევრი რუტინაა, მაგრამ მომენტებში დაძაბულობა და ნერვიულობა ისეთივე რჩება, როგორც ადრე.

– თქვენ მიერ ჩატარებული 300 გრანპრის განმავლობაში ფორმულა 1 შეიცვალა. შეიძლება იმის თქმა, რომ ახლა ყველაფერი უფრო მეტად კომპიუტერზეა დამოკიდებული და არა ადამიანზე?

– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს პოზიტიური ჰიპოთეზაა. მთელი ცხოვრება ისედაც პროგრესია. მისი წყალობით მრბოლელები კიდევ უფრო სწრაფად მოძრაობენ და ეს არის მთავარი. დროში სხვაობა სულ უფრო ნაკლები გახდა. ადრე შემიძლო კონკურენტისთვის ერთი წამი მომეგო, ახლა კი ლაპარაკია წამის მეათედებზე – ისიც, გარკვეული გამარტლების შემთხვევაში.

– გულშემატკივართა რიცხვი ტრიბუნებზე, აგრეთვე ტელეაუდიტორია მნიშვნელოვნად მცირდება. რა დამოკიდებულება გაქვთ ამასთან?

– მაყურებელთა ნაკლები რიცხვი ტრიბუნებზე ბილეთებზე მაღალი ფასით არის გამოწვეული. ახლა, ეკონომიკურად რთული დროა და ადამიანები ხარჯის გაღებამდე ორჯერ მეტს ფიქრობენ. როგორი იყო ტელეაუდიტორია ჰოკენჰაიმში?

– დაახლოებით ექვსი მილიონი.

– ადრე რამდენი იყო?

– შუმახერის ბატონობის პერიოდში – 10 მილიონი.

– მაშინ სხვა დრო იყო. მანამდე, გერმანელი ჰილოტი არასოდეს იბრძოდა ფორმულა 1-ის ჩემპიონის ტიტულისთვის. შემდეგ მოვიდა ყმაწვილი კერპენიდან და ფორმულა 1 ყველასთვის საინტერესო გახდა. ასეთი წარმატებების ფონზე წარმოიქმნა საზოგადოებრივი რეზონანსი, მაგრამ შემდეგ, ინტერესის გარკვეული კლება წარმოიშვა. მიმაჩნია, რომ ჩვენ სოლიდური ბაზა გავგაჩნია.

– მაგრამ დღეს პილოტონში მსოფლიოს ექვსი ჩემპიონია, მათ შორის ორგზის გამარჯვებული გერმანიდან.

– დიახ, მაგრამ სებასტიან ფეტელს არ გაუმართლა, რადგან ის სხვა წარმატებული გერმანელის გაკვალულ გზაზე მიდის. ბორის ბეკერმა მოიგო უიმბლდონი და ამან გერმანიაში ნამდვილი საჩოგბურთო ბუმი გამოიწვია, მიხაელ შტიხის წარმატებების მიმართ კი უკვე სხვა დამოკიდებულება იყო.

– ფორმულა 1-ის მიმართ ინტერესის კლება იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ სულ უფრო რთული გასაგები ხდება წესები? გულშემატკივები ვერ ასწრებენ თვალი მიადევნონ DRS-ს, KERS-ს, დიფუზორებს, „სუპრასოფტის“ საბურავებსა და ა.შ.

– მაგრამ ისინი ხომ შეეჩვივნენ ტიტლისტებს საწვავის შევსებით, კვალიფიკაციის სხვა წესებს...

– ამ ყველაფერს თავად ხედავთ, მაგრამ არსებობს ტექნიკური საკითხები, რომელიც ბევრისთვის გაუგებარია.

– სამაგიეროდ, ახლა გაცილებით მეტ გასწრებას ვხედავთ. ტრასაზე გაცილებით დაძაბული ბრძოლაა, ვიდრე ადრე იყო. მჯერა: გულშემატკივრები ყველაფერში გაერკვევიან.

– თქვენ კარიერის ყველაზე უინტერესო ნანილი იყო - სამწლიანი პაუზა. როგორ შეიცვალა ამ შესვენების დროს თქვენი შეხედულება სპორტსა და ცხოვრებაზე?

– პირველ რიგში, მაქსიმალური სიამოვნება მივიღე თავისუფლებისგან. საქართ არ იყო ვარჯიშებზე ფიქრი, შემიძლო უბრალოდ მეცხრა „ჩიფსი“ და დამეცინა ლუდი. მრბოლელები მუშაობად დაკავებული არიან საკუთარი თავითა და ფორმულა 1-ით - ყოველ შემთხვევაში, მეასე მქონდა საქმეანობილი. უბრალოდ მინდოდა გამეკვეთებინა ის, რაც მინდოდა. ოჯახურ ბიზნესსაც კი ვაღებენებდი თქვის: რვასაათიანი სამუშაო დღე მქონდა.

– როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ, რომ აშკამად ნაკლები ტესტები ტარდება, ვიდრე ადრე.

– აბსოლუტურად. ისეთივე პირობები რომ ყოფილიყო, როგორიც ძველ დროს, როცა ტესტებზე 10 ათასი კილომეტრის გავლა მიწევდა, კონტრაქტის გაფორმებას ვერ შევძლებდი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბალანსი თავისუფლებასა და სამუშაო დროს შორის.

– რა შეგრძნება გქონდათ ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ? გრძნობთ, რომ ახლა პადოკებში უფრო მეტად უყვარხართ?

– ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაც შემიძლია და უარყოფითიც. ადრეც მყავდა მეგობრები კოლეგებს შორის, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. ამავდროულად, იყენენ ისეთებიც, რომლებთან ურთიერთობაც შეუძლებელი იყო. ახლა უფრო მეტ ადამიანთან ვარ განსხვავებული. ძველ დროს, საყოველთაო ყურადღება ჩემკენ იყო მომართული, უნდა გამეკონტროლებინა, რომ ვინმეს სარგებელი არ ენახა ჩემი შემოსავლებისგან. მოკლედ, საკუთარი თავი უნდა დამეცვა. ახლა სიტუაცია შეიცვალა, რადგან ძველებურად აღარ ვდგომინარეობ.

– მაგრამ მოგვიანებით დადგება ის დრო, როცა ისევ თქვენს დომინირებას ვნახავთ?

– მინდა ეს უფრო მალე მოხდეს, ვიდრე მოგვიანებით.

– ინანებთ ფორმულა 1-ში დაბრუნებას, თუ თქვენი კარიერის მეორე ნანილი მოგების გარეშე დასრულდება?

– ამას ცუდ შედეგად შევაფასებ. მაგრამ ჩემი დაბრუნების გამო სინანულის გრძნობა არასოდეს მექნება. ბევრ დადებით მომენტს ჰქონდა ადგილი.

– ცნობილი გახდა, რომ კიდევ ერთ სახეობაში აპირებთ ძალების მოსინჯვას - ჰაერში აპირებთ აფრენას...

– დიახ, სიამოვნებას ვიღებ უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებისგან. ეს მაინტერესებს და ოდესღაც ამას გავაკეთებ, თუნდაც პატარა თვითმფრინავებით.

– თქვენ უკვე იყავით სამხედრო პილოტების ჯგუფის - Starfighter-ის მგზავრი. როგორ მოხდა ეს?

– ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. როცა თვითმფრინავი მკვეთრად ეშვება ქვემოთ, გრძნობ, რომ თავი სისხლისგან ცარიელდება. სულ ცოტაჯ გაკლია გუღის ნასვლამდე...

– გადატვირთვა ისეთივეა, როგორიც ფორმულა 1-ის ბოლოდროს?

– განსხვავება სერიოზულია. ტრასაზე სიგრცის მხრივ შეზღუდული ხართ, ჰაერში კი ყველაფერი უსაზღვროდაა.

– დავუბრუნდეთ მე-300 გრანპრის და გადავხედოთ თქვენს კარიერას. ვინ იყო თქვენი მთავარი მეტოქე?

– ასეთი ბევრი იყო. მაგრამ თუ ერთის დასახელებას მთხოვთ, მაშინ გეტყოდით, რომ არავის მიმართ არ მქონია ისეთი პატივისცემის გრძნობა, როგორიც მიკა პაკინენისადმი. ტრასებზე ჩვენი გზები მრავალჯერ გადაიკვეთა და ყოველთვის პატრონანი ბრძოლა გვქონდა.

– თქვენი მთავარი პრინზი?

– რა თქმა უნდა, სარემაონო თასი.

– ასეთი შეიდი გაქვთ.

– დიახ, მაგრამ მხოლოდ ერთია ორიგინალური.

– დანარჩენია – ასლია?

– დიახ. ჩემმაონი იღებს ორიგინალს, მაგრამ შემდეგ აბარებს თვმოსპორტის ფედერაციაში. ჩვენ მხოლოდ ასლს ვვაძლევდეთ, ერთხელ ბერნი ეკლესტოუნი დავითანხმეთ, რომ ჩემთვის ორიგინალი შეენარჩუნებინა. გაუჭირდა დასტურის მოცემა, მაგრამ ბოლოს მაინც წავიდა ამ ნაბიჯზე.

– 43 წლის ხართ. ჯანმრთელობის მხრივ, როგორ გაქვთ საქმე?

– იმ ასაკამდე მივედი, როცა ძლევების ხმა გესმის. მაგრამ, საბედნიეროდ, ჯანმრთელი ვარ. ჩემი ექიმი ყოველთვის მეუბნებება: „ბედნიერი ადამიანი ხარ“. მე უბრალოდ კარადა ვარ ნავარჯიშები, სხეულის კარგი აღნაგობა მაქვს და ალბათ, ამან გადამარჩინა 2009 წელს, მოტოციკლით მოსხდარ ავარიაში. სხვა შემთხვევაში, ტრავმა უფრო სერიოზული იქნებოდა.

– ეს თქვენი ყველაზე სერიოზული ავარიაა?

– ამ მოშენტისთვის, დიახ. თავიდან ვერ აღვიქვი მომხდარი. მოვახერხე წამოდგომა და მხოლოდ მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ საავადმყოფოში ვიყავი.

– არსებობს დაგიბოვებიათ სახლი რაიმე აკვიატებული შიშის გრძნობით?

– ასეთი რამ არასოდეს მქონია.

– „მერსედესში“ დაბრუნების შემდეგ, დიდად არ გიმართლებთ. თქვენი განცხადება „მერსედესის“ ბოლოდროს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებაზე ძალაში რჩება?

– თუ ამ სეზონზე ვილაპარაკებთ, ჩემპიონობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ხოლო რა იქნება შემდეგ წელს, ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.

– რა გაინტერესებთ ფორმულა 1-ის მიღმა? პრობლემები ეკოლოგიაში, ინფლაცია, სირია - რას განიხილავენ შუმახერების სახლში?

– რა თქმა უნდა, თვალს ვადევნებთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. არ ვლაპარაკობთ მხლანებზე და არც იმაზე, რა გველის მომავალში. კარგა ხნის წინ მოვიაოვეთ ფინანსური დამოუკიდებლობა და გვინდა ის მაქსიმალურად დიდი ხანი შევინარჩუნოთ. არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ჩვენი ოჯახის მომავლისთვის.

– დარეგისტრირებული ხართ „ფეისბუკში“ ან „ტვიტერზე“?

– არა. ასეთი ურთიერთობის დიდი სურვილი არ მაქვს.

– მთელ მსოფლიოში მოგზაურობთ, სად არის საუკეთესო ადგილი?

– როცა ცილით ვილეიძეს და ჩემს ხუთ ძალთან ერთად სასეირნოდ მივდივარ, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ. საუკეთესო ადგილი - ჩემი სახლია.

– რა არის თქვენთვის სახლი? თქვენ გადახვედით მონაკოში, შემდეგ შვეიცარიაში. თქვენმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ შვეიცარია მშობლიურ ქვეყნად მიგაჩნიათ, დიდი ხმაური გამოიწვია.

– მე ვცხოვრობ შვეიცარიაში და საუარაუდოდ, შვეიცარიას ჩვენი ცხოვრების ცენტრად მივიჩნევ. ჩემი ქვეყანა იქ არის, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობ იმ ქვეყანაზე, სადაც დავიბადე, გავაბარე ბავშვობა, სადაც ჩემი მეგობრები და ნათესავები ცხოვრობენ. თუ მე შვეიცარიას მშობლიურ ქვეყანას ვუწოდებ, ჩემი გული ყოველთვის გერმანიაში რჩება.

რაიკონენი ვერ აღასტურებს

„ლოტუსის“ პილოტმა **კიმი რაიკონენმა** აღნიშნა, რომ ჯერ ადრეა მომავალი წლისთვის მის გეგმებზე ლაპარაკი. ვარაუდობენ, რომ ფინელი გააგრძელებს ენერგეტიკებს სავირნიბოსთან, მოუხედავად იმისა, რომ უამრავი ჭორი ეროვნდება „ფერარიში“ მისი სავარაუდო ტრანსფერის შესახებ. ასევე არ გამორიცხავენ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის რალიში დაბრუნებას.

„ჩვენ უნდა დავაკვირდეთ მომდინარე სეზონის შედეგებს, ავრეთვე იმას, რისი გაკეთება შეგვიძლია დარჩენილ რბოლებში. შეიძლება წარმატებული იყო ერთ სეზონში, მაგრამ ყველა წელ დიდ გუნდებსაც უჭირთ მომდევნო წელს. ფიქრობ, რომ შესაძლებელია პრობლემა, მაგრამ სინამდვილეში, არასოდეს იცი რა მოხდება.

გვინდა კარგად გამოვიდეთ მომავალ წელს, მაგრამ ჯერ ადრეა ლაპარაკი იმაზე, რა მოხდება მომავალში. *ამ სეზონში ძალიან ბევრს ვმუშაობთ და შეეძლებით, წარმატებას მიეცილნოთ ჩემპიონატის მეორე ნახევარში*“, - ამბობს რაიკონენი Autosport-თან კომენტარში.

გვერდი მომზადა
გია თევზაიშვილმა



კიმი რაიკონენი

ჰოკეი

საფრთხე რეალურია



რეგრესუკეთებით, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში განახლდა ლიგასა და პროფკავშირებს შორის მოლაპარაკებათა პროცესი მოსალოდნელი ლოკაუტის თავიდან ასაცილებლად. ახალ შეხვედრაზე NHL-ის ხელმძღვანელობამ მოთამაშეებს კოლექტიური ხელშეკრულების ახალი ვარიანტი შესთავაზა, რომელიც ჰოკეისტებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ.

იტყობინებიან, რომ ლიგას სურს ხელშეკრულების ექვსი წლით გაფორმება, ამასთან, მოთამაშეებს მოუწევთ საკუთარი შემოსავლების სეროზულად შემცირება.

შეგახსენებთ, რომ ლიგის პირველი წინადადება კატასტროფული იყო მოთამაშეებისთვის, რადგან მათ შემოსავლის 57 პროცენტიდან 43 პროცენტამდე შემცირება შესთავაზეს.

ახლა კი ლიგის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულების პირველ სამ წელინახს მოთამაშეებს ლიგის საერთო შემოსავლიდან, შესაბამისად 51,6, 50,5 და 49,6 პროცენტი შესთავაზა, მომდევნო სამ წელიწადში კი ლიგა და ჰოკეისტები შემოსავალს თანაბრად გაიყოფენ.

შესაბამისად, ხელფასების მაქსიმალური ზღვა ზღვარი დღევანდელი 70.2 მილიონიდან 58 მილიონამდე დაეცემა.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მოთამაშეები არ წავლენ თავიანთი შემოსავლების ასეთ მკვეთრ შემცირებაზე. სხვათა შორის, ჰოკეისტები უკვე გამოხატავენ ნეგატიურ დამოკიდებულებას შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, 40 წლის ფორვარდმა **მაიკ ნუბლმა**, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, არ იცის, როდის გაიფორმებს ახალ კონტრაქტს.

„NHL და პროფკავშირები ჯერ ძალიან შორს არიან ერთმანეთისგან. ლიგა NFL-ისა და NBA-ისგან იბეჭდება, სადაც შემოსავალს თანაბრად იყოფენ, პროფკავშირი კი MLB-ისგან მოუთითებს, სადაც საერთოდ არ არსებობს ხელფასის ზედა ზღვარი“, - აღნიშნა ნუბლმა.

ფრენბურთი

სუიციდი ლონდონში მარცხის გამო?

სერგეი ოვჩინნიკოვი

სამწუხაროდ ამბავი გავრცელდა გუშინ რუსულ პრესაში - 44 წლის ასაკში გარდაიცვალა რუსეთის ქალ ფრენბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერგეი ოვჩინნიკოვი.**

ოვჩინნიკოვი 2011 წლის ოქტომბრიდან ედგა სათავეში რუსეთის ნაკრებს. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მოიგო ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელიც იაპონიაში მიმდინარეობდა. ლონდონის თამაშებზე რუსებმა პირველი ადგილი დაიკავეს ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ მეოთხედფინალში დამარცხდენ მომავალ ჩემპიონად - ბრაზილიის ნაკრებთან.

საკლუბო დონეზე ოვჩინიკოვის სცენაზე დიდი მიღწევა იყო რუსეთის ჩემპიონობის ვერცხლის მედალი მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად.

P. S. მოგვიანებით გავრცელდა გარდაცვალების ერთ-ერთი ვერსია. რუსეთის მამაკაცთა ნაკრების დამრიგებელმა **ვლადიმერ ალეკნომ** განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ოვჩინიკოვმა თავი მოიკლა ლონდონის ოლიმპიადაზე წარუმატებელი გამოსვლის გამო.

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

ველოსპორტი. ვუელტა

დეგენკოლბს უკვე პოკერი აქვს

ვუელტაზე მორიგი სპრინტერული ფინიში ცვლაც გერმანელი მრზოლელის - იონ დეგენკოლბის გამარჯვებით დასრულდა. ეს მისი მეოთხე ტრიუმფია ესპანურ ველომარათონზე.

ერთდღიანი მესვეტების შემდეგ, „ვუელტას“ მონანილეებს არცთუ ისე რთული ეტაპი ელოდათ - მათ საწყის კილომეტრებზე უნდა გადაელახათ ერთადერთი ამაღლება, ისიც მესამე კატეგორიის სირთულის. რბოლის მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, ვინ შეძლებდა სპრინტერთაგან დაუმარცხებელი იონ დეგენკოლბისთვის ბრძოლის მეთაუხეობას.

ტრადიციულად, გაქცევაში მონაწილეობა მიიღეს ესპანელმა ველომრბოლებმა. ესენი იყვნენ - **ადრიან პალომარესი და ბავიერ არმენგოლი.** სწორედ ამ უკანასკნელმა მოიგო ეტაპის ერთადერთი მთაზე სამუალედო ფინიში.

გაქცეულმა დუეტმა მშვიდად მიიღო ოთხწუთიანი უპირატესობა, მაგრამ შემდეგ, პელოტონმა, „თიმ სქაის“ მონდომებით, ფინიშამდე 80 კილომეტრით ადრე წუთამდე დაიყვანა ეს სხვაობა. ცხადი იყო, რომ ყველაფერს საფინიშო სპურტი გადაწყვეტდა.

ფინიშთან ახლოს პირველი შეტევა „რედიოშეკის“ ლიდერმა **დანიელე ბენატიმ** წამოიწყო, მაგრამ ძალიან იჩქარა. ქარი შემხვედრი მიმართულებით უბერავდა და იტალიელი სპრინტერი იძულებული გახდა ბრძოლას ჩამოშორებოდა. დეგენკოლბი კი ფინიშამდე 300 მეტრით ადრე აჩქარდა. მას საბურავზე ავდგა ფრანგი **ნასარ ბუშანი,** მაგრამ ვერაფერი მოახერხა და მეორე ადგილზე გავიდა. ბენატიმ კი მონახა კონტრშეტევისთვის ძალები და პირველ სამეულში მოხვდა.

დეგენკოლბმა მეოთხე ეტაპი მოიგო

ამ გამარჯვებით, დეგენკოლბმა მწვანე მაისურა მოიპოვა და „ვუელტას“ ქულათა კლასიფიკაციაში ჯერჯერობით მარტო უმკლავდება მთის სპეციალისტებს. საერთო ჩათვლაში არაფერი შეცვლილა. **ხოაკიმ როდრიგესს**ა შეინარჩუნა დროზე განცალკევებითი რბოლის წინ ნუთისაში უპირატესობა. სავარაუდოდ, ამ ეტაპზე ის დაკარგავს ლიდერის წითელ მაისურს, მაგრამ შემდეგ რამდენიმე სამთო ეტაპია დაგეგმილი და ესპანელს იქ შეეძლება დაკარგულის ანაზღაურება.

X ეშაპი

პრნებჟარჯანი-სანნანებო (190 კმ)

1. იონ დეგენკოლბი (გერმანია, Argos) - 4:47.24; 2. **ნასარ ბუშანი** (საფრანგეთი, FDJ) - იგივე დრო; 3. **დანიელე ბენატი** (იტალია, Radioshack) - იგივე დრო; 4. **ჯანი მერსმანსი** (ბელგია, Lotto) - იგივე დრო; 5. **მანუელ ანტონიო ლეალი** (პორტუგალია, Caja Rural) - იგივე დრო; 6. ლიიე მონგორი (საფრანგეთი, AG2R) - იგივე დრო...

საერთო ჩათვლა

1. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატუშა“) - 39:32.23; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრაზილეთი, Sky) - +0.53; 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, Saxo Bank) - +1.00; 4. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +1.07; 5. **რობერტ ჰესინკი** (ნიდერლანდი, Rabobank) - +2.01; 6. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატუშა“) - +2.08...

ცხელი ხაზი

ფუტბალი

ევროპის ლიგა

პლეი ოფი. II მატჩები

სელტიკი-ფენერბაღჩე	2:0 (2:0)
კლუჟი-ბაზელი	1:0 (2:0)
დინამო (კ)-ბორუსია (დ)	1:2 (3:1)
ფენერბაჰჩე-სპარტაკი	1:1 (1:2)
ლილე-კოპენჰაგენი	1:0 დ. დ. 2:0 (0:1)

ესპანეთის თასი

ნოხა-ამორებიეტა	2:2 დ. დ. 3:2
ოსასტალეტი-ორიუელა	1:0
პრატი-ხიმენესტიკი	2:1
კაუზალი-ბარინო	2:0
ალგესიეტე-ლეხა	4:0
ალკორიონ-ატ. ბალეარესი	2:0
კატაროხა-ალკორონი	0:2
ლაუხიო-ეიბარი	0:1
ეხეი-ალბა	2:2 დ. დ. 4:2
ლაგოსტერა-ბალალეხა	1:0
სდ ლეგარესიეს-ლეგარესიეს	2:1
არიერ-ლა რიოხა	1:1 დ. დ. 2:1
კაზილი-ატ. არაკი	3:2
კოსტახანსა-ელქსანო	3:0
ოურენსე-რეალ ავილა	2:1
ვილაროელენო-კასტრენო	1:3

ესპანეთის სუპერთასი. II მატჩი

რეალი-ბარსელონა	2:1 (2:3)

გერმანია

III განდასელიგა

არმინია-შტ. კიპერსი	1:0
ბურგჰაუზენი-ანზბა	2:0
ჯაღუმერი-მიუნსტერი	0:2
შტუტგარდი II-ბაველშგერი	2:1
ვეინი-დარმშტადტი	1:1

გერმანია

II ლიგიზიონი

ვიზე-გრიუსელი	3:1
დესელი-ანტჰერესი	5:0
აალხტი-რუზელარე	3:2
ლემელი-ეუნენი	1:1
მუსკერონი-გრინაჟი	3:1
ოსტნიდ-სტ. ნიკლასაი	0:0
ვოლფშე-ვისბადენი	0:0
პაინტი-ბაზენეი	3:0
უდინეაარდი-სტ. ტრუიდენი	2:1

შოტლანდია

ლიგის თასი

არგროუ-ინვერკნეის	0:2
ჟუინზ პარკი-დანდი	2:1
სტ. მირენი-ეირი	5:1

ნიდერლანდები

თასის ფინალი

გორგენუელი-ოდენსი	0:1
ნორდვესტი-გრონინგენუ	1:2
ოლგორგ ზვოლი-რანდერსი	0:1
ავედორე-ვასტჰვედი	0:1
ჯელუნგორი-ვესტჰენელ. 4:4 პენ. 7:8	
ფრედერიკსუნდი-სილეკოდი	0:3
ჯელუუფფოლი-გარნსჯიი	0:3
კიელრუუნ-ვიტორინგი	1:7
ოლდენზაალი-ფრედერისია	1:2
სიდდალანსენი-ლუნგბაუე	0:4
ვიბი-სკივე	2:0
ტაარნბი-კიოგე	1:7
ვიბორგი-ბესგერი	1:1 პენ. 10:11

ფორვედის

II ლიგიზიონი

ბრიტნეუზდენი-ალექსანდერი	2:1
ვიოლეტ-ტორკვინი	2:1
ფლიტვიკ-ალდერშოტი	1:1

II ლიგიზიონი

ოულუ-ოჯს	1:0
ჯაგიელონია-ვიფკ	1:0
იიაო-ვიიკინგიტი	0:2
როვანიემი-ატტასი	3:0
სპინაიონი-ჯპს	3:0

ჩეხეთის თასი

ჩესკა-ვარნსდორფი	2:0
ბრუშეიმი-სლოვაცკო	3:5
ვლაშიმი-პარდუბიცე	0:1
კლოინი-ფულკა	0:1
სლავია-ჰიმეი	2:0
ფრიდეკი-ფლინი	0:1
იაბლონეცი-სტბაი	3:1
კარლოვი ვარი-ჰიტჰორია 0:0 პენ. 1:3	
კარვინა-ოსტრავა	1:2
კრნოვორიეი-ბრენლავი	2:0
პროსტეიოვი-სიგმა	1:4
სპარტა (კ)-სლავია	0:1
სტრაკონიცე-ვოვედინე. (ვ) 1:1 პენ. 1:4	
სპიდავი-ქლასკა	1:2
სოკოლი-ხოდოტოვი	0:1
ტრავიცი-ზნოიმო	0:0 პენ. 7:6
უნიკოვი-ოპავა	3:3 პენ. 5:3
უსტი-ვოსტი	2:0
ზაბრუხი-ოლომოუცი	1:1 პენ. 8:9
ვიტკოვიც-ბოჰემიანს	3:1

ბაკალეია

ბრეგალენცა-შკენდია	0:0
ტურენოვი-ვიტალურვი	2:0
ნაპრედკი-ცილიძი	1:0
რაპოზინჩი-ეელისტეი	2:1
რენოვა-ვარდარი	0:2

ბაკალეია

რუზიო ნუ-ინდუვიდეიტე	1:0
სლო დე ამორიკა-სპორტინო	2:2
დივ. კარაკაუშა-ლეგიარტადი	2:0

ჩოგბურთი

ATP. აშშ-ის ღია

ტიპსარევიჩი-რუფენი	4:6, 3:6, 6:2, 6:3, 6:2
ტროიცკი-შტეტე	4:6, 4:6, 6:3, 2:6
იუენი-მიუელერი	6:2, 6:3, 5:7, 6:7, 6:7
ფერერი-ანდერსონი	6:4, 6:2, 7:6
სისლინგი-ხიმენო ტრავერო	7:5, 6:3, 6:4
ჭემლია-მეელო	7:5, 7:6, 7:5
პიუიტი-კამკე	4:6, 6:2, 6:1, 6:4
ბეიერი-პაიკი	6:3, 6:4, 6:2
დმიტროვი-პერი	7:5, 3:6, 6:7, 2:6
ისნერი-მალისე	6:3, 7:6, 5:7, 7:6
პაასი-გულბისი	6:3, 6:4, 4:6, 5:7, 3:6
გასკე-მონტანიესი	4:6, 6:2, 6:3, 6:3

WTA. აშშ-ის ღია

ბურდეტი-პრადეცკა	6:2, 6:4
პეტროვა-პაოლი	6:1, 6:1
ვოზნიაკი-საფაროვა	3:6, 6:4, 2:6
აზარენკა-ფლიპკენსი	6:2, 6:2
რიბარიკოვა-ჭუნგი	3:6, 1:6
ვიკმაიერი-პარმენტიე	6:7, 3:6
კორნე-კეიტოვა	4:6, 3:6
ლეპჩენკო-როდიონოვა	6:2, 6:2
პლიშკოვა-მინეულა	4:6, 4:6
ნა ლი-დელაკუა	6:4, 6:4
ტატიშვილი-კირსტეა	6:7, 6:1, 6:2
რობსონი-კლაისტერსი	7:6, 7:6

TV პროგრამა

30 აგვისტო, ხუთშაბათი

I არხი

20:00 ევროპის ლიგა. პლეი ოფი. დილა-მარტინუსპასაუხო მატჩი. Live

GMG-ფუტბური

10:00 რემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ფენერბაჰჩე-სპარტაკი. სპასახები მატჩი.

12:00 რემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. კლუჟი-ბაზელი. სპასაუხო მატჩი.

14:00 ინგლისის რემპიონატი. II ტური. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.

16:00 პრაზილიის რემპიონატი. XIX ტური. კრუზეირო-ატლეტიკო.

18:00 არგენტინის რემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.

19:00 პრაზილიის რემპიონატი. XIX ტური. ფლუმინენსე-კორინთიანსი.

21:00 რემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.

22:00 გერმანიის რემპიონატი. I ტური. პანოურენ-შალკე.

00:00 ინგლისის რემპიონატი. II ტური. მანჩესტერ იუნაიტედი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. რემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ანდერლეხტი-აველ. სპასახები მატჩი.

12:00 სპორტ-NEWS.

12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ინდიანა-კლიპერსი.

14:30 ფეხბურთი. ოსტაილის რემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.

15:00 ფეხბურთი. რემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. მარსორი-დინამო (ზ).

17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ლენსტერი-მონპელიე.

19:00 ფეხბურთი. იტალიის რემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.

19:30 სპორტ-NEWS.

20:00 ფეხბურთი. მოთამაშეთა რემპიონატი. იაპონია-პრაგა.

22:00 ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.

22:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ინდიანა-კლიპერსი.

00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსსპორტლასპორტი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. WTA -ის ტური. მეცი. სარანგეთი.

12:30 სპორტ-NEWS.

13:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-სამხრეთ აფრიკა.

15:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.

17:00 სპორტ-NEWS.

17:30 ფეხბურთი. მოთამაშეთა რემპიონატი. გრონინგენი-ნიმეგენელები.

19:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-პისტონსი.

22:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსსპორტლასპორტი.

23:10 ჩოგბურთი. WTA -ის ტური. მეცი. სარანგეთი.

00:30 ფეხბურთი. გერმანიის რემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

კარო შეუვარებულთან შეჯახება

ამერიკის ღია პირველობის მეორე სათამაშო დღეს მთავარი მოვლენა იყო შარმანდელი ნახევარფინალისტის კაროლინ ვოზნიაცკის მარცხი.

დღეს განადგურება

დღის ერთ-ერთი განადგურების ავტორი გახდა **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. მისი მეტოქისთვის - იტალიელი **პაოლო ლორენცისთვის** შეხვედრა ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ სრული კომშარით დასრულდა. აპენინელმა პირველივე გემში ბრეიკი გააკეთა, თუმცა შემდეგ ცხადი გახდა, რომ მას სერბი ჩოგბურთელის წინააღმდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდა. ნოვაკმა ზედიზედ 12 გემი აიღო, ლორენციც კი მორიგი გემი მესამე სეტში მოიგო და ეს მისი ბოლო ნარმატება იყო მატჩში. ჯოკოვიჩს სამი სეტის მოსაგებად 70 წუთი ეყო.

ასევე შთამბეჭდავი სტარტი გამოუვიდა **სერგა ულიანოვს**. ამერიკელმა 55 წუთში გაარკვია ურთიერთობა თანამემამულე **კოკო ვანდევეგესთან**. უმცროსი უილიამსი ძალიან კონცენტრირებული იყო და მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რაოდენობა. ვანდევეგემ კი ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქის უძლიერეს თამაშს. მხოლოდ ორი გემის აღების შემდეგ, მან თავად დაუსვა წერტილი შეხვედრას მატჩში მეექვსე ორმაგი შეცდომით.

დღის ვარსკვლავური დანაკარგები

ქალთა ტურნირზე ერთი სენსაციის მოწმენი გავხდით. კაროლინ ვოზნიაცკიმ პირველივე წრეში დაბოგა ტურნირი. შარშანდელმა ნახევარფინალისტმა ორ სეტში ნააგო რუთინულ **ირინა ბეგუსთან**, თუმცა ამაში დიდი როლი ითამაშა მუხლის ტრავმამ, რომლის გამოც, რამდენიმე დღის წინ, დაწილმა ვერ დაასრულა ნიუ ჰეივენში **მარია კირილენკოსთან** ნახევარფინალი. ვოზნიაცკის კრახს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს მისი მეყვარებული, ცნობილი გოლფისტი **რორი მაკილროი**. მან ცოტა ხნის წინ, კარიერაში "დიდი სლემის მეორე ტურნირი მოიგო, დანიელი ჩოგბურთელისთვის კი ეს ოცდება ჯერაც მიუღწეველი რჩება. შეგახსენებთ, რომ კაროლინი "დიდი სლემის" ზედიზედ მეორე ტურნირს გამოეთიშა პირველ წრეში – მანამდე მან უიმბლდონის სანყის მატჩში წააგო **ტამეა პაჩიკთან**.

ბეგუსთან მარცხის გამო, ვოზნიაცკიმ, შესაძლოა, პირველად დაბოგოს რეიტინგის საუკეთესო ათეული, არადა, ამ წელს ის მსოფლიოს პირველი ჩოგანის რანგში იწყებდა.

22-ე ნომრად განთესილმა **ფრანჩესკა სკიავონემაც** ნააგო "დიდი სლემის" მეორე სპარდო ტურნირი. ავსტრალიის ღია პირველობაზე მან შეძლო პირველი რაუნდის ბარიერის გადალახვა, ამჯერად კი იტალიელმა ესიც ვერ მოახერხა. ფრანჩესკა ძალიან ცუდად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და **სლოუნ სტივენსს** 11 ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა. თავის მხრივ, ამერიკელმა თავისი ყველა გემი შეინარჩუნა და მაქსიმალურად გამოიყენა მეტოქის სისუსტეები.

დღის იმედგაცრუება

გერმანელმა ამომავალმა ვარსკვლავმა **მონა ბარტელმა** ბრწყინვალედ დაინყო სეზონი, მაგრამ ახლა, პრაქტიკულად ყველა ტურნირის სანყის სტადიაზე ეთიშება. ბოლო დროს, მას მეტოქეების მხრივ არ უჭირთლებდა - ხან **ანნიეშკა რადვანსკასთან** უწევდა შეხვედრა, ხან **პეტრა კვიტოვასთან**. მონა მათ დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ რანგით მაღლა მყოფი მეტოქეები კლასის ხარჯზე გადიოდნენ ფონს. **ბოიანა ოფანოვსკი** სუსტი მეტოქე არ არის, მაგრამ რამდენიმე თვის წინ, ბარტელი ასეთ მონინააღმდეგეებს იოლად უსწორდებოდა.

დღის კურიოზი

მამაკაცებს შორის პირველი წრის მატჩის დროს, კორტზე ციყვმა შეირბინა. ამის გამო, მცირე ხნით შენყდა შეხვედრა ფრანც **ფულიან შენებრუსა** და ბელგიელ ოლივიე **როხუსს** შორის.

ციყვი კორტზე მეორე სეტის დროს შევიდა, რომელიც შენებრუნის ხელიდან გაუსხლტა. საბოლოოდ, შეხვედრა სამ სეტში ფრანგმა მოიგო.

დღის ფაქტები

მაყურებლის რაოდენობა: 56 780.

გავარდნილი განთესილები (კაცები): ხუან მონაკო (10).

გავარდნილი განთესილები (ქალები): კაროლინ ვოზნიაცკი (8), კრისტინა მლადენოვიჩი (21), ფრანჩესკა სკიავონე (22), კლარა ზაკოპალოვა (24), მონიკა ნიკულესკუ (26), ტამირა პაჩეკი (29), წუკი ვენგი (32).

დღის სტატისტიკა: ანნიეშკა რადვანსკამ 6:1, 6:1 დაამარცხა ნინა ბრატჩიკოვა, მისმა დამ - ურსულა რადვანსკამ კი იმავე ანგარიშით წააგო რობერტა ვინჩისთან.

ეს დღე ამერიკის ღიაზე (1978 წლის 29 აგვისტო): ბიორნ ბორგმა სამ სეტში დაამარცხა ბობ ჰიუიტი და ეს იყო მისი პირველი გამარჯვება ლუკ არმსტრონგის სტადიონზე.

გია თევზაძე

ვოზნიაცკის მუხლი აწუხებდა

გამოწერის თქვენი ორჯერ! ოქროსებრი პრესის გამავრცელებლებთან!

ISSN 2233-3827

გამოიცემა კვირეულად, გარდა კვირისა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თევზაძეშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ვრემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo1td@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20

მისამართი: ილიაბოძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორის); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებელ და ზომითის ტექსტების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა/ა GE19CR0120007000043608